კრისტოს და ჟან-კლოდის საიდუმლო კი საკუთარი იდეების სხვებისთვის გაზიარების ნიჭია. მათ გარშემო ყოველთვის ტრიალებდა მეგობრების უზარმაზარი წრე. ახლაც, როდესაც ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმი მასპინძლობდა ჟან-კლოდის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს, ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს მიეწვიათ ყველა, ვისთანაც კრისტოს და ჟან-კლოდს რაიმე ურთიერთობა ჰქონდათ. სიაში ხალხის რაოდენობამ 10 ათასს გადააჭარბა! საბოლოო ჯამში, მოწვევები მხოლოდ 3-4 ათას ადამიანს გაუგზავნეს - ეს იყვნენ უახლოესი მეგობრები, თაყვანისმცემლები, კოლექციონერები, რომლებიც მათ ესკიზებს, ჩანახატებს და ნახატებს ყიდულობდნენ მათ მხარდასაჭერად და მათი პროექტების დასაფინანსებლად.

ნინო ლალიძე



შეფუთული პონ-ნეფი, პარიზი
THE PONT NEUF WRAPPED, PARIS, 1975-85



ველის გამყოფი ფარდა, რაიფლი, კოლორადო
VALLEY CURTAIN, RIFLE, COLORADO, 1970-72

შებორკილი კუნძულები (მაიამის ოლქი)
SURROUNDED ISLANDS (GREATER MIAMI)





შეფუთული ბილიკები (კანზას სიტი, მისურის შტატი)
WRAPPED WALK WAYS (KANSAS CITY, MISSOURI) 1978





# Christo's Hidden World

*Christo and Jeanne-Claude*
*Visionary and Artist*

„ჰაერის დიდი შეკვრა“, ობერჰაუზენის გაზომეტრისთვის (გერმანია) განკუთვნილი პროექტი, იდეის სახით აღმოცენდა 2010 წელს; მისი დათვალიერება კი 2013 წლის 16 მარტიდან 30 დეკემბრამდეა შესაძლებელი.

ეს ქანდაკება დგას ე.წ. გაზომეტრის შიგნით. ის შედგება 20350 კვ.მ. (219000 კვ.ფუტი) ნახევრადგამჭვირვალე პოლიესტერის ნაჭრისა და 4500 მ. (14800 ფუტი) პოლიპროპილენის თოკისგან. ამ გიგანტური ბუშტის სიმაღლეა 90 მეტრი (295 ფუტი), დიამეტრი - 50 მეტრი (164 ფუტი), მოცულობა - 177000 კუბური მეტრი (6250000 კუბური ფუტი) და წონა - 5300 კგ (11700 გირვანქა).

1928-29 წლებში აშენებული გაზომეტრი განკუთვნილი იყო რკინის მადნის გადამუშავებისას გამოყოფილი აირის შენახვა. ეს ნაგებობა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აირის შესანახი რეზერვუარია; მისი სიმაღლე 117 მეტრს (384 ფუტს) აღწევს, ხოლო დიამეტრი - 68 მეტრს (223 ფუტს).

„ჰაერის დიდი შეკვრა“ მნახველთათვის შიგნიდანაც გახსნილია და გარედანაც. ის გაზომეტრის შიდა სივრცეს თითქმის მთლიანად იკავებს; დარბაზში მცირე ადგილიღაა დარჩენილი ქანდაკების გარშემო სამოძრაოდ. ქანდაკების ვერტიკალურ პოზიციას და სტაბილურ 27-პასკალიან (0.27 მილიბარი) წნევას უზრუნველყოფს ორი ვენტილატორი; შიგნით შესაღწევად მნახველებმა საჰაერო შლუზები უნდა გაიარონ.

კრისტომ და ჟან-კლოდმა თავიანთი პირველი ქანდაკება ჰაერის ელემენტით შექმნეს 1966 წელს. მხატვართა მიერ ადრე შექმნილი ჰაერის შეფუთვა დამონტაჟდა კასელში საერთაშორისო გამოფენა „დოკუმენტა IV“-ზე 1968 წელს. ამ ქანდაკების სიმაღლე იყო 85 მეტრი (280 ფუტი), დიამეტრი - 10 მეტრი (32.8 ფუტი) და მოცულობა - 5600 კუბური მეტრი (198000 კუბური ფუტი).

„ჰაერის დიდი შეკვრა“ საყრდენი სტრუქტურის არმქონე გაბერილი საჰაერო ბუშტია. გაზომეტრის ჭერიდან დაფრქვეული მზის სხივებით განათებული ქანდაკება ჰაერის ტაძარია; ის თავადაც გარდატეხს სინათლეს, ახშობს ჩვეულ ხმებს და აღვივებს სიმშვიდის და სიმყუდროვის შეგრძნებას.








ity, make them come true. The latter believe that Christo and Jeanne-Claude are more businessmen than artists and their art has more calculation than inspiration in it. But considering how successfully they implemented one project after another so far, the number of admirers is obviously larger…

Their art is unique. Aesthetics of transience is enticing. Each act of packaging contains a large portion of object alienation. This makes Christo's ideas so similar to surrealist philosophy.

Things that stay behind are photos, maybe also reminiscences. This absolute autonomy, incarnated freedom boggle the imagination! Christo's and Jeanne-Claude's attitude toward their own art causes respect. They never took money from the government, denied sponsor support and successfully avoided all the attempts to influence them from outside.

The main thing for them was to realize and idea. E.g. we are willing to do this; it is good if you like our idea, but the main thing is that we are going to realize this project. The unique ability to take a punch, consistency in everything and the unwavering confidence in correctness of the set goal: to expand the borders of utopia and realize the plan in spite of everyone predicting failure. Down with utilitarianism!

Christo and Jeanne-Claude - they were born on the same day: June 13 1935. He is visionary and artist, she faithfully supported him at all stages of his enormous space packaging projects.

Packaging, wrapping, drapery… It is very improbable that an average inhabitant of planet Earth would associate these words with art. But it is art we are going to speak about now. And about a man who undoubtedly changed the public attitude toward art.

His biography is full of bright-colored spots and accents - just as his works are. It all started with relatively small forms. He took cans, magazines, a violin, a bicycle and some chairs, wrapped them in fabric and tied with ropes. Then larger projects emerge: Christo (this time - in partnership with his wife) packages a museum and seaside rocks, splits a Californian valley in two with a gigantic textile curtain, wraps up a bridge in the center of Paris and Reichstag in Berlin.

Christo and Jeanne-Claude were born on one and the same day: June 13 1935. They met in Paris and became a legendary couple, capable of making dreams come true. He is visionary and artist, she faithfully supported him at all stages of his enormous space packaging projects. She died and missed their joint 75th anniversary by a couple of months. He decided to continue their lifetime work and to realize the projects they had planned together.

For Christo, the main thing in art is art itself - the act of creation and the freedom it brings. Take Reichstag - someone had it wrapped in silvery cloth, the packaging lasted for 14 days and was removed for good. Once there was a work of art, then it existed no more. Christo's art is temporary. And this impermanence is what liberates it from possession, from the vicious circle of giving and receiving.

The fact that these projects disappear without a trace does not mean that their realization was not preceded by a lengthy preparation period. E.g. implementation of the huge project like Reichstag packaging took 25 years! In the meanwhile, Christo created a number of works: collages, drawings, sketches, models, drafts. Selling of these works allowed him to finance the largest one.

The art of Christo and Jeanne-Claude has committed admirers and vigorous opponents. The former are charmed with the artists' ability to turn dreams into real-

What is the charm of Christo's art? Realization of his projects required enormous investments, but the art always paid off. So what was the secret of this brilliant couple?

Christo and Jeanne-Claude had a surprising ability to enthrall. They have a huge circle of friends. Recently, when New York Metropolitan Museum hosted a memorial action dedicated to Jeanne-Claude, it was decided to invite everyone with whom Jeanne-Claude and Christo maintained contact. But the list exceeded 10 thousand people! In the long run, organizers managed to invite less than half of this crowd - 3-4 thousand persons - closest friends, followers, collectors, who supported the artists and helped fund their projects by buying their sketches, drawings, etc.

NINO LAGHIDZE







Big Air Package, a project for the Gasometer Oberhausen, Germany, was conceived in 2010 and is on view from March 16 to December 30, 2013.

The sculpture is installed inside the Gasometer. It is made from 20,350 square meters (219,000 square feet) of semitransparent polyester fabric and 4,500 meters (14,800 feet) of polypropylene rope. The inflated envelope is 90 meters (295 feet) high, with a diameter of 50 meters (164 feet), a volume of 177,000 cubic meters (6,250,000 cubic feet) and a total weight of 5,300 kilograms (11,700 pounds).

The Gasometer was built in 1928/29 to store the blast furnace gas that is generated as a by-product of the industrial processing of iron ore. It is one of the largest gas tanks in the world, 117 meters (384 feet) high by 68 meters (223 feet) in diameter.

Big Air Package can be experienced from the outside and inside. It nearly spans the distance from wall to wall of the Gasometer, leaving only a small passage to walk around the sculpture. Airlocks allow visitors to enter the package, which is self-supporting and kept upright by two air fans creating a constant pressure of 27 pascal (0.27 millibar).

Christo and Jeanne-Claude created their first sculpture involving air in 1966. The artists' last air package was erected at documenta IV in Kassel in 1968. It stood 85 meters (280 feet) tall, with a diameter of 10 meters (32.8 feet) and a volume of 5,600 cubic meters (198,000 cubic feet).

Big Air Package is the largest ever inflated envelope without a skeleton. Illuminated through the skylights of the Gasometer, the work of art is a cathedral of air, creating a diffused light throughout the interior, muffling the usual sounds and thus generating an atmosphere of silence and tranquility.







ისტორია

HISTORY

# ხუროთმოძღვრის საკუთარი დრო



შოთა ბოსტანაშვილის (1948 - 2013) პრემიერა არქიტექტურულ სცენაზე 1975 წელს შედგა - ამ წელს გაიხსნა "ხსოვნის კუბი" ქალაქ სენაკში (ავტორები: შ. ბოსტანაშვილი, ვ. დავითაია, გ. გეგელია; მოქანდაკე: ვ. მელიქიშვილი). პრემიერა ადგილობრივ მასშტაბს გასცდა - იგი ახალი სიტყვა იყო სოცრეალიზმის მემორიალურ ტრადიციაში. რა თქმა უნდა, მისი მნიშვნელობა ამ ტრადიციის რღვევას სცილდება. გახეთქილი კუბი, რომლის გეომერტიული ზედაპირის სიზუსტე მისი შინაგანი სივრცის ქაოტურ პლასტიკას უპირისპირდება მრავალშრიანი ნაწარმოებია. იგი ეძღვნება მეორე მსოფლიო ომიდან არდაბრუნებულ სენაკის შვილებს და იმ კატასტროფას რაც ადამიანს გადახდება თავს, არა მხოლოდ ისტორიულ ქარცეცხლში არამედ მის ეგზისტენციურ მარტო ყოფნაში:

"რადიდიჯოჯოხეთია
გადავიხეთქეგავკუბდი"
(შ. ბოსტანაშვილი 1973)

ეს პოეტური ჩანაწერი გადახეთქილი კუბის წინარე ტექსტია - მისი მშობელი.

უფრო ადრე იყო არქიტექტურის სივრცეში შესვლა ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში; მუშაობა საქართველოს სახელმწიფო გეგმარების ინსტიტუტში (1966 - 1970 წწ.); სწავლა არქიტექტურის ფაკულტეტზე; პრემირებული სადიპლომო ნაშრომი ("ხევსურული სოფელი" - პირველი პრემია მოსკოვი 1972) და მრავალი პროექტი შესრულებული ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის გეგმარების ბიუროში (1970 - 1990); რაც მთავარია ინტერესი მიმართული პოეზიისკენ, ლიტერატურისკენ, ფილოსოფიისკენ, მათემატიკისკენ, თეატრისკენ, ლინგვისტიკისკენ, რაც მის არქიტექტურულ შემოქმედებაშიც გამოვლინდა.

ხსოვნის კუბს მალევე მოჰყვა ორი მნიშვნელოვანი რეალიზაცია, ორი მემორიალი:



"ხსოვნის კუბი"



"ხსოვნის ტაძარი"

"ხსოვნის ტაძარი" (1975) სოფელ მუხრანთან და ურბანული ინსტალაცია, რომელსაც სახელდება იმ დროის პირობითობის კვალად ამგვარად ჟღერს: "დიდება შრომას" (1979). ორივე პროექტმა პირველი პრემია დაიმსახურა არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის ბიენალეზე (ქ. სოფია).

"ხსოვნის ტაძარი" (ავტ.: შ. ბოსტანაშვილი, ვ. დავითაია) დეკონსტრუირებული ნიშანია - იგი წარმოადგენს თაღს რომელიც შეუძლებელს ხდის ტრიუმფალურ მსვლელობას - იგი გაიძულებს შეჩერდე. მემორიალურობას კიდევ რამდენიმე ნიშანი აძლიერებს - საკლასო ოთახის (აუდიტორიის) სიტუაცია, რომელსაც თაღების წინ გაწოლილი ქვის "მერხები" ქმნიან; ოთხ მასას შორის აღმოცენებული სვეტი - ქვის ხე; მასების ზედაპირების ჯვრული დანაწევრება.

ქუთაისის მემორიალი "დიდება შრომას" (ავტ.: შ. ბოსტანაშვილი, ვ. დავითაია) მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი შოთა ბოსტანაშვილის არქიტექტურაში. უპირველეს ყოვლისა აქ მკაფიოდ ჩანს: დაკვეთა მხოლოდ საბაბია, რომ არქიტექტურა გააკეთო. დაკვეთა კი მარტივი იყო - მცირე ზომის მემორიალური დაფა ქუთაისის "მოწინავე მშრომელების" საპატივცემოდ. ეს მიზეზი აღმოჩნდა საკმარისი, რომ გაჩენილიყო ახალი ტიპი და ახალი სახე - ის რასაც დღეს ინსტალაცია ეწოდება - ურბანულ სივრცეში გათამაშებული არქიტექტურული წარმოდგენა, რომელიც აწარმოებს სიტუაციათა სერიას. აქ არქიტექტურული სახე(ლ)ები - ჩარჩო, კიბე, კვარცხლბეკი - ქმნიან ადგილს, აკეთებენ ადგილს. ადგილის კეთება არის არქიტექტურის მუშაობის შედეგი. ადგილი ცვალებად სიტუაციას მასპინძლობს - ყოველ ორ წელიწადში ერთხელ აქ სხვადასხვა მოქანდაკის სკულპტურული ნამუშევრების პრეზენტაცია უნდა შედგეს. ამ ადგილიდან ისინი გადაინაცვლებენ სამხატვრო გალერეაში (ან ქალაქის სხვა ქუჩებზე, სკვერებში). ქუთაისის მემორიალი ქუთაისის კულტურული ცხოვრების არქიტექტურული გულია, უც-



პურის საცხობი ქ. თბილისში

ვლელი სცენაა ცვალებადი მონაწილეებით (ქანდაკებები, მოქალაქეები). მუდმივის და ცვალებადის ეს ერთდროულობა საყურადღებო აღმოჩნდა არქიტექტურული კრიტიკისთვის. ქუთაისის მემორიალში, ისევე როგორც "ხსოვნის კუბში" და "მუხრანში" დაძლეულია მონუმენტური ტრადიცია - დისტანცია, რომელიც მოქალაქეს იმ პასიურ მაყურებლად აქცევს, რომელიც წინასწარშეთავაზებული კოდებით სარგებლობს მონუმენტის წასაკითხად. აქ მემორიალი აუქმებს დისტანციას, აჩენს სივრცეს მნახველისთვის, ქმნის მოქალაქეთა ურთიერთობის სცენას და ხისტი კოდების ნაცვლად სთავაზობს მათ წაკითხვათა მრავლობითობას.

1983 წელს ჯერ მხოლოდ ამ რამდენიმე რეალიზაციის ავტორი, შოთა ბოსტანაშვილი წარდგენილი იყო შოთა რუსთაველის სახელობის პრემიაზე.

ყველა პროექტი, რომელიც 1980-იან წლებში შეიქმნა (უმეტესობა პრემირებული), აფართოებს ჩვენს წარმოდგენას არქიტექტურაზე. აქ ყველა მათგანს ვერ განვიხილავთ. რეალიზაციებიდან მოსახსენებელია გრან-პრით (ქ. მოსკოვი) აღნიშნული პურის საცხობი ქ. თბილისში (ავტ.: შ. ბოსტანაშვილი, ვ. დავითაია, 1987 წ.). ქარხანამ ტრანსფორმაცია განიცადა და დაბადა სივრცე ადამიანისთვის; არქიტექტურული ნიშნები ცხადად აჩვენებენ ამ ტრანსფორმაციას. დაფრაგმენტებული კომპოზიცია აუქმებს ქარხნის ცნობად სახეს; პურის რიგში მოლოდინიც ნიშნად წარმოსდგა და გასაგნდა.

1985 წელს შექმნილი "მსახიობი(ს) სახლი" (ავტ.: შ. ბოსტანაშვილი) სახელშივე გვთავაზობს ორმაგ წაკითხვას: იგი აკაკი ხორავას სამუზეუმო სახლია ქ. სენაკში - მსახიობის სახლია, მაგრამ უპირველესად იგი თავად არის სახლი-მსახიობი, რომლის ოთხივე "ფასადი" ნიღბის როლს ასრულებს და თამაშობს. მსახიობი(ს) სახლი პოლისემიურია. მისი ღია მოცულობა მნიშვნელობათა ღია თამაშს გვთავაზობს. არქიტექტურის ნიშნები, რომელთა გადაადგილება, გადანაცვლება, შეტრიალება და სხვა ტრანსფორმაციები ცნობადს გადააქცევენ სიახლედ.

ქუთაისის მემორიალი "დიდება შრომას"



ფურცელზე დარჩა, აღინიშნა კონკურსზე და მნიშვნელობს 1990 წ. შესრულებული წმინდა სამების საკათედრო ტაძრის პროექტი, რომელიც საეკლესიო ხუროთმოძღვრების ნიშანთა ახლებურ განლაგებას ქმნის. მასშტაბების გადანაცვლება ნაცნობ ვითარებას "საგანი სახლში" ცვლის ახლით "სახლი საგანზე". ეს საგანი სკამია - მასშტაბში გადიდებული, მასალაგამოცვლილი (შუშა) და ახალი კონოტაციებით გამდიდრებული.

1990-იანი წლების მეორე ნახევრამდე მოხდა პირველი გაჩერება სამშენებლო პრაქტიკაში (იგულისხმება არქიტ. რეალიზაციები), მაგრამ არა არქიტექტურულ შემოქმედებაში. აქ შეგვიძლია გავიხსენოთ აწ გარდაცვლილი ამერიკელი არქიტექტორის, ლებეუს ვუდსის სიტყვა: "შეეწინააღმდეგეთ აზრს, რომ არქიტექტურა შენობაა; ... შეეწინააღმდეგეთ აზრს, რომ არქიტექტურის საკეთებლად დამკვეთია საჭირო".

შოთა ბოსტანაშვილისთვის არქიტექტურა ეს იყო მდგომარეობა, ცნობიერების იმ ადგილას მუდმივი ყოფნა, სადაც ხდება არქიტექტურა, სადაც (და)ემართება არქიტექტურა. პრაქტიკული საქმიანობა, თეორიული ძიებები და პედაგოგიკა ერთმანეთისგან განუმიჯნავი ნაკადია. ამ ნაკადმა - არქიტექტურაზე კულტუროლოგიურმა რეფლექსიებმა ზემოთ განხილული პროექტების გვერდით დაბადეს კონცეპტუალური არქიტექტურული სურათები (შდრ. "ქაღალდის არქიტექტურა") და სტუდია სახელოსნო "არქიტექტურის პოეტიკა" - ახალი დისციპლინა არქიტექტურული განათლების სისტემაში.

"არქიტექტურის პოეტიკის" პირველი განაცხადი (და დრო-სივრცე სადაც იგი დაიბადა) გახლდათ არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის მიერ და იუნესკოს ეგიდით ორგანიზებული საერთაშორისო კონკურსი "ოცდამეერთე საუკუნის ცივილიზაციის სივრცე". მრავალი ქვეყნის 400 ახალგაზრდა არქიტექტორს შორის შოთა ბოსტანაშვილის პროექტმა "პილიგრიმები" პირველი პრემია დაიმსახურა. "პილიგრიმები" საკაცობრიო მისიით აღჭურვილი მოხეტიალე კუნძულია, ახალი კონტინენტია, რომელიც იქ მიცურდება, სადაც უჭირთ. "პილიგრიმები" ექვსი გრანდიოზული მცურავი მინის სახლია, ფორმით კი საკა-




რცხულები (სავარძელი - ტახტი) - ინტერიერის (ამ შემთხვევაში სამყარო - ინტერიერი), დასვენების და დიალოგის სიმბოლო. საზურგეთა ფასადები ერთდროულად უზარმაზარი ტელეეკრანებია - "პილიგრიმთა" საქადაგო ენა. ამ მეტაფორით კაცობრიობა ისევ მარტოა ლაჟვარდოვან უსაზღვრობაში - გაშლილი ცის ქვეშ, გაშლილ ზღვაში. იგი ხელახლა უნდა დაიბადოს "წარღვნის წყლებიდან" და ამჯერად სული გადაარჩინოს. XXI საუკუნე კულტურათა დიალოგის და ქანცგაწყვეტილი კაცობრიობის „დასვენების" სივრცეა.

"პილიგრიმებს" მოჰყვა მანიფესტი - "არქიტექტურის პოეტიკის მანიფესტი" (1990) - და სტუდია-სახელოსნოს დაარსება ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის სივრცეში. არქიტექტურის მსოფლიო ტრიენალეზე (1997 წ.) სტუდიის ფილოსოფიის და ნამუშევრების პრეზენტაციას მოჰყვა შოთა ბოსტანაშვილის პროფესორად არჩევა არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიაში (ქ. სოფია).

სტუდია "არქიტექტურის პოეტიკა" ორი ათეული წელია აფართოებს არქიტექტურის საზღვრებს, ეძებს ახალ პარადიგმებს, ქმნის არქიტექტურაზე რეფლექსიის ინტერდისციპლინარულ სივრცეს. ოცი წლის მანძილზე დაგროვდა ასეულობით სურათი, პროექტი, პერფორმანსი, ინსტალაცია. ძლიერ იგრძნობა მისი გავლენა არქიტექტურული გეგმარების საკურსო და სადიპლომო პროექტებზე. არქიტექტურის პოეტიკის ლექციები - უფრო სწორედ შოთა ბოსტანაშვილის პერფორმანსები მუდმივად დარჩება მრავალი ათეული სტუდენტის და ახალგაზრდა არქიტექტორის მეხსიერებაში; ხოლო სტუდიაში დაბადებული ახალი პარადიგმები მომავალში ნახავენ რეალიზაციას. ამის მაგალითი დღეს უკვე ჩანს "რიდეების" (ზედაპირები) სახით. ამ ახალი პარადიგმის მოკლე დახასიათება ამგვარად შეიძლება: არქიტექტურა "მუდამ უკვე" წყობის და "წყობის" (იდეოლოგიის) უნარს ამჟღავნებს. უკანასკნელ წლებში წყობა შეცვალა "შეფუთვამ" — ისეთმა ზედაპირმა, რომელიც არ გადმოგვცემს შენობის აღსანიშნებს — ფუნქციონალურ და კონსტრუქციულ შინაარსს. ამ ზედაპირს არქიტექტურის პოეტიკამ უწოდა რიდე. შეფუთვა (რიდე) გზას უხსნის აღმნიშვნელთა თავისუფალ თამაშს. რიდე ციფრული ტექნოლოგიების ეპოქის თანამედროვე წერილობაა. რიდეებმა ბიძგი მისცეს ახალ მიმართულებას, რომლის შედეგები ჩანს თანამედროვე არქიტექტურულ ავანგარდში.

არქიტექტურის პოეტიკა



შეფუთვის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 2006 წელს მეტროსადგურ რუსთაველის მიწისზედა სივრცის ასათვისებლად ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებული პროექტი - მრავალფუნქციური კომპლექსი (ავტ.: შ. ბოსტანაშვილი, დ. ბოსტანაშვილი). წარმოდგენილი პროექტი დინამიკის, ღიაობის და პლასტიკის ენას ირჩევს - მოწესრიგებული ქაოსის ენას, დაგეგმილი "შემთხვევითობის" ენას. რუსთაველის მეტროს ვესტიბიულის თავზე განვითარებული სამი მოცულობის არქიტექტურა (რომლებიც ქუჩების და ზოგადად კონტექსტის მიერ შემოთავაზებულ დინამიკას მიყვება და აძლიერებს), ერთგვარი ორდერის, სტრუქტურის (ან სტრუქტურის ნაკვალევის) მატარებელია. პროექტის სამი მოცულობის ორდერი ("ოქროს" ღეროები) დეკორატიულობას სცილდება და სხეულის ნაწილი ხდება (მნახველისთვის მან შეიძლება კონსტრუქციული ფუნქციაც აღნიშნოს, მაგრამ არ შეასრულოს). ის სხეულის არა მხოლოდ გარე სივრცის, არამედ უპირველეს ყოვლისა შიდა სივრცის ფორმირების არქიტექტურული საფუძველია — ისევე როგორც ფუნიკულიორის ზედა პლატოს შენობის შემთხვევაში. სწორედ ამ ღეროების გავლით მზერის არეალში ხვდება მუდმივად ცვალებადი ცა და უცვლელი, მყარი არქიტექტურული სხეულები.


მსახიობის სახლი

1995 წლიდან შოთა ბოსტანაშვილი სამშენებლო მოედანს დაუბრუნდა. საუბარია ორ რეალიზაციაზე, რომელსაც ჟურნალ "სტილის" მკითხველი უკვე იცნობს - სახლი-რეზიდენცია ქობულეთის ქუჩაზე და "პოეზიის სასახლე".

"პოეზიის სასახლე - არტისტული ყვავილები" ეს სახელი დაარქვა ხუროთმოძღვარმა მისივე ხელით გამოძერწილ შენობა-მემორიალს. ახალი ათასწლეულის დასაწყისში, ტექნოცენტრული ეპოქის ზეობისას არქიტექტორი ხა-

არქიტექტურის პოეტიკა





ბიზნეს-ცენტრი ზემელზე

რაჩოს დაუბრუნდა. შენობა არ დასრულებულა; თუმცა ათი წლის მანძილზე, სოლოლაკის ბოლოში, მთაწმინდის კალთებთან იდგა არქიტექტურა. ბეტონის სამ პოლისემიურ ნიშანს უნდა დაემკვიდრებინა საქართველო ჩვენი დროის გამორჩეულ ხუროთმოძღვრულ ქვეყანათა სიაში. "პოეზიის სასახლემ" სამგზის ჰპოვა აღიარება საერთაშორისო არენაზე. ცრუ-პატრიოტიზმის ნიღაბს ამოფარებულმა სიხარბემ იმძლავრა და პოეზიის სასახლე დაანგრიეს.

დანგრევის პროცესს ხუროთმოძღვარი ადგილზე შეხვდა პოეტური პერფორმანსით. მისი ნგრევის პროცესმაც შემოქმედებითი მუხტი გააჩინა. ნგრევის პროცესი ფოტო/ვიდეო სესიად იქცა. კამერის ჩარჩოში მოქცეული ნგრევა ცუდის და კარგის მიღმა აღმოჩნდა. ეს იყო საინტერსო. საინტერესო იყო ნანგრევის სივრცეში გაჟღერებული პოეზია - გალაკტიონის, ოთარ ჭილაძის, შოთა ბოსტანაშვილის.

პოეზია გახდა შოთა ბოსტანაშვილის სახლი, როდესაც სახლების შენებისკენ მიმავალი გზა ბარიკადებით აივსო. 2004 წლიდან ენაში წავიდა, ენაში მუშაობდა და შედეგად დაგროვდა პოემათა ციკლი "ოთხი ლაპარაკი" (გამოიცა 2012 წელს) და ათეულობით პოეტური ტექსტი კრებულისთვის "ცი/ხი/ს ჩიტები". პოეზიაში მოღვაწეობაც იმავე ნიშნით გაგრძელდა, როგორც ხუროთმოძღვრებაში: სიახლის მუდმივი ძიება და დანერგვა. შოთა ბოსტანაშვილის პოეზია ახალი სიტყვაა - "სემიოტიკური რევოლუციაა" - როგორც მას ლიტერატურათმცოდნე გაგა ლომიძემ უწოდა.

თამამად უნდა ითქვას, რომ ქართულ და საერთაშორისო არქიტექტურაში შოთა ბოსტანაშვილი სახელია, ის ნიშანია, რომელთანაც ასოცირებულია ხუროთმოძღვრული აზრის განსხვავებული ტიპი. ამ განსხვავების შექმნა მხოლოდ პიროვნებას შეუძლია. სწორედ მთლიანი შემოქმედი პიროვნება შეიძლება იყოს ახლის მუდმივი გენერატორი და სხვადასხვა სფეროებში (არქიტექტურა, პოეზია, ფილოსოფია, კულტუროლოგია, პედაგოგიკა) მათი განმახორციელებელი.

"დრო, დრო აღნიშნე!" - ისმის გალაკტიონთან. მან არა მხოლოდ აღნიშნა, არამედ თავად შექმნა საკუთარი დრო - შოთა ბოსტანაშვილის საკუთარი დრო.

**დავით ბოსტანაშვილი,**
**არქიტექტორი, პროფესორი**

"პოეზიის სასახლე"





# Shota Bostanashvili (1948 - 2013)

*Poet, Architect, Sculptor*

**ACADEMIC BACKGROUND:**
- ☐ professor, International Academy of Architecture Moscow branch, Russia 1995;
- ☐ professor, International Academy of Architecture, Sofia, Bulgaria 1997;
- ☐ Full member of International Academy of Architecture of Eastern Countries, Baku, Azerbaijan Republic, 1999;
- ☐ Full member of International Academy of Architecture Moscow branch, Russia 2001;
- ☐ Professor, Institute of Architecture, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia 2002.
- ☐ Ph.D. in Architecture, thesis on Philosophy of Architecture, 2008.

**PROFESSIONAL EMPLOYMENT:**
- ☐ Architect-technician, Georgian State Institute of Design, Tbilisi, 1966 - 1975;
- ☐ Architect, leader of architectural department, design office of Institute of Architecture, Georgian Technical University, Tbilisi, 1970 - 1990;
- ☐ From 1978 to present teaches at department of architecture, Georgian Technical University;
- ☐ In 1988 founded the studio-workshop "Poetics of Architecture", a subject matter that introduced a metacultural discourse in the Institute of Architecture.
- ☐ In 1991 the works of "Poetics of Architecture" were included in the catalogue of Bienalle of Venice;
- ☐ Many of Shota Bostanashvili's students received international awards for their diploma projects.

**ORGANIZATIONAL MEMBERSHIPS:**
- ☐ Union of Architects of Georgia, Tbilisi, 1995;
- ☐ Georgian Jews material culture Foundation after hebrewist Nisan Babalikashvili, founder, 1990.

**PUBLICATIONS:**
- ☐ "Palace of Ceremonial Rites in Tbilisi", 1985;
- ☐ "The architect Richard England", 1987;
- ☐ Manifest of Poetics of Architecture, 1991;
- ☐ "Methodics of architectural copmosition and design", 1993;
- ☐ "Architecture of Synagogues and Jewish graveyards in Georgia", 1998;
- ☐ "Conflict of boundaries and boundaries of urban conflict", 2003;
- ☐ The poems; deconstruction on theme: Water (2004), Fire (2005), Air (2008);
- ☐ "Protopost", Sjani 2008
- ☐ "Path and labirynth" 2nd literature conference, 2009
- ☐ "Sign an Built, Semiotics 2008
- ☐ "Presentation of 'nash/eni'", Semiotics 2009
- ☐ Numerous articles and interviews.

**PROJECTS:**
- ☐ Highland villages of Khevsureti, Georgia: Khakhmati and Biso, 1971 - 1973; with arch. V. Davitaia
- ☐ Memorial "Memory Temple", Mukhrani, Georgia, 1975;
- ☐ Memorial to the victims of war "Cube of Memory", Senaki, Georgia, 1975; with sculptor V. Melikishvili and arch. G. Gegelia
- ☐ Memorial to Labour, Kutaisi., Georgia, 1976;
- ☐ Palace of Culture, Poti, Georgia, 1976;
- ☐ Maltakva park planing and sculptural forms, 1986;
- ☐ Bakery in Tbilisi, 1983;
- ☐ Memorial for Smolian city, Bulgaria, 1987;
- ☐ An Actor's House, conceptual project, 1987;
- ☐ A memorial to the outstanding hebrewist Nisan Babalikashvili, Tbilisi 1987;
- ☐ A project for the memorial to the victims of 9 april, 1990;
- ☐ Music school in Tbilisi, (competition project), 1990;
- ☐ A Concept-Project "Square of Liberty', (six variations), 1992;
- ☐ Restoration of the synagogue in Oni (damaged by earthquake), 1992;
- ☐ A living house in Tbilisi, 1996 - 2000;
- ☐ Palace of Poetry, (a building-sculpture sculpted by the author himself), Tbilisi, 1997 - 2003;
- ☐ "Chardin Hotel", in Tbilisi (32 Khanzteli st.) 2006-2007
- ☐ House in old Tbilisi, (12 A. Katalikosi st.) 2007
- ☐ House in Tbilisi (5 Amagleba st.) 2007
- ☐ Hotel in Bakuriani, Agmashenebeli st. 2008



# აბრეშუმის მუზეუმი 130 წლისაა

აბრეშუმის მუზეუმი, რომელიც მუშტაიდის ბაღსა და დინამოს სტადიონს შორის მდებარეობს ოდესღაც უდიდესი სააბრეშუმეო სადგურის ნაწილი იყო, რომელიც მთლიანად მოიცავდა ხსენებულ ტერიტორიებს. საქართველოსთვის, როგორც აბრეშუმის გზის უმნიშვნელოვანესი რგოლისთვის, რომლის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა თანამდეროვე მსოფლიოშიც აქტუალურია, ამ მუზეუმს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუმცა აღმაშენებლის ქუჩის ბოლოს მდებარე ძველი, ნახევრად ხავსით დაფარული შენობა, რომელსაც ჭიშკარიც კი გასული საუკუნისა აქვს და რომლის თაღებს შეყენებული ხიმინჯები მიუთითებენ შენობის სავალალო მდგომარეობასა და მწირ დაფინანსებაზე, ამ აქტუალობის საილუსტრაციოდ სულაც არ გამოდგება.

საქართველო, აზიასა და ევროპას შორის გადებული ეს ხიდი, თავისი გეოგრაფიული და პოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე დღემდე ინარჩუნებს ამ ფუნქციას. საქართველოში აზიიდან შემოსული საქონელი ფოთის და შავი ზღვის გავლით რომში მიდიოდა. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ საქართველოში დაასრდა 19-ე საუკუნის ბოლოს მეაბრეშუმეობის სადგური. რუსეთის იმპერატორის ბრძანებით კავკასიაში მოევლინა ნიკოლაი შავროვი, რომელსაც ეს დარგი უნდა შეესწავლა და ამავე დროს აქ სადგურის დაარსების პერსპექტივაც განესაზღვრა.

“ნიკოლაი შავროვი ევროპაში მიავლინეს მაშინ გავრცელებული აბრეშუმის ჭიის დაავადების პებრინას საწინააღმდეგო საშუალებების და შტამის შესასწავლად და ჩამოსატანად,” მარინა გონაშვილი, მუზეუმის თანამშრომელი.

ამ დაავადებას 19ე საუკუნის 60-იან წლებში ძველი კავკასიური ჯიშები შეეწირა, ამიტომ ამ დარგის სავალალო მდგომარეობა მითხოვდა კონკრეტული ღონისძიებების გატარებას. შავროვმა საფრანგეთში ყოფნისას ლიონში ნახა მეაბრეშუმეობის სადგური და გადაწყვიტა, რომ ანალოგიური სადგური გაეკეთებინა თბილისში. აბრეშუმის სახელმწიფო





მუზეუმი სწორედ ამ სადგურის უძველესი გადმონაშთია. “ეს იყო უზარმაზარი კომპლექსი, რომელიც მოიცავდა ამჟამად მუზეუმის ნაგებობას, თანამშრომელთა ნაგებობებს, თუთიის ხეების პლანტაციებს, რომლებიც ამჟამინდელი დინამოს სტადიონის ტერიტორიაზე იყო გაშლილი, ბიბლიოთეკას, ლაბორატორიას, გრენის დასამზადებელ სახლს. მტკვრის პირას მდებარეობდა ე.წ. შენობა მაცივარი, სადაც მომავალი წლისათვის შესანახი გრენა, ანუ პეპლის კვერცხი ინახებოდა. მისი საირიგაციო სისტემა ისე იყო მოწყობილი, რომ მტკვრის წყალი შიგ შენობაში შედიოდა და აგრილებდა მას,“ მარინა გონაშვილი

შენობა ააგო არქიტექტორმა ალექსანდრე შიმკევიჩმა, რომელიც იმ დროისათვის არა ერთი ცნობილი შენობის ავტორი იყო, ესენია სასამართლო პალატა, ახლანდელი კონსერვატორიის შენობა. აბრეშუმის მუზეუმის შენობა ეროვნული მნიშვნელობის ძეგლად არის მიჩნეული. 90-იან წლებში იგი გადაურჩა სხვადასხვა ორგანიზაციების შემოტევებს, რომლებიც მოხიბლულნი იყვნენ შენობით და აბრეშუმის მუზეუმი ფაქტიურად განადგურების საფრთხის წინაშე დადგა.

“მთელი ინვენტარი, რომელიც მუზეუმშია, თავიდანვე გაკეთდა სააბრეშუმეო სადგურისთვის და აღსანიშნავია, რომ მათი გატანა ნაგებობიდან შეუძლებელია დაშლის გარეშე,” ნინო კუპრავა, საგანმანათლებლო და საექსპედიციო პროგრამის ხელმძღვანელი.

შესანამისად იქ დაცულ უნიკალურ მასალას, სადაც თავმოყრილია, არა მხოლოდ კავკასიის, არამედ მთელი მსოფლიოს სააბრეშუმეო მასალა, განადგურება ემუქრებოდა.

“ახლახანს ჩვენ აღვადგინეთ ჩვენი პეპლების უნიკალური კოლექცია. დროთა განმავლობაში ისინი დაიშალა და ნაწილობრივ შემორჩა. მუზეუმი გაგმავს გამოფენის მოწყობას, სადაც აქ დაცული პეპლები იქნება წარმოდგენილი.”

თუმცა უნდა აღინიშნოს რომ მუზეუმი ძალიან შორსაა თანამედროვე სამუზეუმო ცხოვრებისგან. ის რეორგანიზაცია, რომელიც შეეხო სამუზეუმო ნაწილს მას არ შეხებია. შენობა საჭიროებს აღდგენას, კონცეფცია - განახლებას, ხოლო ექსპოზიცია საჯაროდ გამოტანას და განახლებას. ეს არის უძველესი ინსტიტუტი, რომელსაც არა აქვს მხოლოდ მუზეუმის ფუნქცია, არამედ აქტიური სააბრეშუმეო ინდუსტრიის ნაწილია და აბრეშუმის წარმოების ტრადიციის გაგრძელების მნიშვნელოვანი ბაზისი.

ქეთევან ჭარხალაშვილი







# სახლი არაგვისპირში

წარმოგიდგენთ რეალიზებულ ახალ საცხოვრებელ ინტერიერს არაგვისპირში, რომლის დიზაინიც არქიტექტორ საბა ნანავას იდეით შეიქმნა. ფუნქციურად ორგანიზებული, ულამაზესი სივრცის დიზაინში მრავალფეროვნება, სრულყოფილი ფორმების უმაღლესი ხარისხი, განსაზღვრულ და დამაჯერებელ ორგანიზმში ერთმანეთთანაა შერწყმული. განათება, ფერი, აქსესუარები, პროპორციები, მოძრავი გრაფიკა - მათი ერთობლიობით წარმოქმნილი არაორდინალური სივრცე, ყოველ მოცემულ შემთხვევაში ტექნოლოგიური სიახლეების საშუალებებით გამოგონილ სტრუქტურაზე გაცილებით მნიშვნელოვანია.







# Country house

This time, we would like to tell you about a new residential interior in Aragvispiri (Georgia). Its interior has been created by architect Saba Nanava. An attractive and at the same time highly functional design is smoothly integrated with its environment. Lighting, colors, accessories, proportions, moving graphics – these tools proved much more efficient in forming this unordinary space than an artificially developed structure based on advanced technologies would.







# შემოქმედებითი რეტროსპექტივა

## Creative Retrospective

*Architects: Emil Davitidze Nika Gogava*



ადამიანები ყოველთვის ცდილობენ შეიქმნან ლამაზი და განსხვავებული გარემო და ისინი ამისთვის პროფესიონალებს მიმართავენ.

არქიტექტორები დახვეწილ, ეფქტურ ინტერიერს ფანტაზიისა და გემოვნების სინთეზის შედეგად იღებენ. საინტერესო სახლი ყოველთვის საინტერესო ხასიათის მატარებელია და შესაბამისად უცხო თვალის ყურადღებას ხშირად იმსახურებს.

ამჯერად, ჟურნალის Style-ს რუბრიკის - ,,ინტერიერი,, - ობიექტივში, სუპერ თანამედროვე და ყველასაგან განსხვავებული - ორი არქიტეტორის, ემილ დავითიძის და ნიკა გოგავას მიერ შექმნილი სხვადასხვა სტილისა და ინტერიერის რამდენიმე ბინა მოექცა.

საცხოვრებელი ინტერიერები სრულიად აკმაყოფილებს არქიტექტურის უახლესს ტენდენციებს. არქიტექტორების მიერ შექმნილი საკმაოდ კომფორტული ბინები თავს ნამდვილად დაგამახსოვრებთ. განსხვავებული ინტერიერები ყურადღებასაც იმსახურებს და დადებით ემოციებს ყოველთვის აღძრავს.

არქიტექტორები ემილ დავითიძე და ნიკა გოგავა ამ სფეროში თითქმის ოცდაათი წელია რაც მოღვაწეობენ და მათთვის თითოეული ნამუშევარი საკამოდ მნიშვნელოვანია.

ბინაში დადებითი აურის შესაქმნელად საჭირო აქსეუარების შერჩევა დიზაინის ბოლო ეტაპია. მთავარია პირველ რიგ-





















ში დიზაინერებმა გაითვალისწინონ, პროფესიულ დონეზე განახორციელონ თქვენი სურვილები და მხოლოდ ამის შემდეგ შეეცადოთ უბრალო ნივთებს ინტერიერში საინტერესო დატვირთვა შესძინოთ.

მოკლედ იდეალური შემთხვევაა როდესაც არქიტექტორისა და დამკვეთის გემოვნება ერთმენათს ემთხვევა, თუმცა უფრო უკეთესია როდესაც სივრცე აძლევს პროფესიონალს საშუალებას თავისი დიზაინერული იდეები მაქსიმალურად განახორციელოს და შექმნას არამარტო ლამაზი ბინა, არამედ უბრალოდ ხელოვნების ნიმუში.

ემილის და ნიკას პროექტით განხორციელებული საცხოვრებლების ერთიან სივრცეში, მისი დახურული და ღია მოცულობებისათვის დამახასიათებელი მოძრაობა ცოცხალი და რითმულია და მოვლენის ტრადიციულად გააზრებასა და აღქმასთან შეფარებით უფრო მეტის მომცველია. აქ, წონასწორობაა სიმშვიდესა და მოძრაობას შორის და უფრო მეტია თავისუფალი ტიპის შემოქმედების შედეგი, რაც გარკვეული დაკვირვებისას ვლინდება.

მოდულური კომპოზიცია - კონსტრუქციული ელემენტების პროპორციები თავისუფალია. მას საფუძვლად ესთეტიკური





კრიტერიუმები უდევს. ინტერიერში - გეგმარება, დიზაინი, სვეტებით, ზღუდარებით შექმნილი სივრცითი კომპოზიციები ფუნქციონალური ხასიათის მატარებელია და მის თვითმყოფადობას განსაზღვრავს.

საცხოვრებელის ერთიანი სივრცის შექმნისას, პარადულ და პრივატულ ზონებში „მოძრაობის მარშრუტის დასარეგულირებლად", არქიტექტორები ორიგინალურ გადაწყვეტებს გამოიყენებენ.

ყველგან - განყენებულ ფორმებში ნაგრძნობი სივრცე, რომელშიც ისახება დინამიკა, განუსაზღვრელ მრავალფეროვნებას იძლევა.

ყველგან და აბსოლუტურად სხვადასხვაგვარად - არქიტექტურული ფრაგმენტების დეკორატიული კომპოზიციების გამჭვირვალებას და სიმსუბუქეს, ორიგინალური კოლორისტული გადაწყვეტა უდევს საფუძვლად. მთლიანი პალიტრა ოპტიმალურ ფონს უქმნის ნებისმიერ საგანს, გამოკვეთს მის მოცულობას და ეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - ინტერიერში ყოველივეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და სკულპტურული ხასიათის მატარებელია.

გამოყენებულ მასალათა ფაქტურების ზედაპირებზე სინათლის ათინათი ინტერიერისათვის დამახასიათებელ გრაფიკულ იდეას, უფრო მეტად აქცენტირებს. საერთო გამჭვირვალებაში შეჭრილი ხაზები და პარალელები, დინამიკური სიმრუდეები მაორიენტირებელ მონახაზებსა და სილუეტებს ქმნიან.

დიზაინერული მელოდია, მისი რითმის ცვლითა და შესაბამისი ნოტების რეგისტრის გაძლიერებითაა აგებული..

ნინო ლაღიძე











# შოუ-რუმი - იტალიური გალერეა



მდებარეობა: თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა
ავტორი: "დიზაინბიურო" - ნია მგალობლიშვილი, ია ლიპარტელიანი, სოფიო შევარდნაძე

კლასიკური და გლამურული, თბილის და ცივი, ბნელი და ნათელი, ამგვარ ინტერიერულ მონაკვეთებად „იყოფა“ შოუ-რუმის - „იტალიური გალერეა“-ს სივრცე. ყოველივე კი შესვლისთანავე - ორიგინალური სადემონსტრაციო დარბაზიდან „იწყება“ და ირეკლება სარკეებში. ინტერიერში გამოყენებული ნატურალური, ფაქტურულად საინტერესო მასალა სასიამოვნო განწყობას უქმნის მყიდველს, თუმცა სრულიად არ უშლის ხელს, მას, მოდურ ტანსაცმელზე კონცენტრირებაში.











# Show room - La galleria italiana

*Location: Marjanishvili street, Tbilisi, Georgia*
*Author: Designbureau - Nia Mgaloblishvili, Sophie Shevardnadze, Ia Liparteliani*



ფოტო ირაკლი ბლუიშვილი
PHOTO BY IRAKLI BLUISHVILI

# მთავარი მხატვრული პრინციპი

ამჯერად წარმოდგენილი, არქიტექტორ მარიკა ქურთიშვილის მიერ განხორციელებული, „კახური ტრადიციული მეურნეობის“ ოფისის გარემო, სახასიათო მოულოდნელობებზეა აგებული. სივრცეში ორიგინალური კომპოზიციების, ნივთების, ნაკეთობების, აქსესუარების გადანაწილება განსაზღვრულ კანონზომიერებებს ემორჩილება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის საერთო ატმოსფეროს. მთლიანი სივრცე საინტერესო თემებითაა სავსე და მის ორგანიზებაში სწორედ ეს გახდა მთავარი მხატვრული პრინციპი. ამდაგვარი მიდგომა თანამედროვე სტილისტიკაში სხვადასხვა დიზაინერულ ჩართვებს განაპირობებს და მას დასაშვებს ხდის. საზოგადოებრივ სივრცეში რამდენიმე დომინანტი ნიუანსია კონცენტრირებული, თუმცა არალოკალურად. აქ მოხვედრილი დამკვირვებელი, „დეკორატიული ნაკეთობებით“ შექმნილი ექსპოზიციის ფონზე აღიქვამს, რომ დღეს, საზოგადოებრივი ინტერიერის ესთეტიკა საჭიროებს არა მხოლოდ თანამედროვე ფორმებსა და საგნებს, ის აუცილებლად ეყრდნობა სახასიათო ნიუანსებს, ცალკეულ ასოციაციებს, რაც მთელი სივრცის თვითმყოფადობის გამოსავლენადაა აუცილებელი.

ნინო ლალიძე







# Key artistic principle

The rpublic interior - office of Kakhetian traditional winemaking designed by Architect Marika Kurtishvili are built up on the effect of pleasant unexpectedness. Original compositions, articles and accessories are distributed within the space in accordance with definite rules, by large defining the general character of the atmosphere. The interior is filled with an array of interesting themes, and this is the key creative principle underlying its design. Such an approach allows for introduction of retro elements into the modern stylistics. The public activity within the interior is focused on several dominants, though in a non-localized manner. The visitors, looking at this improvised exposition of decorative articles, are sure to feel that the aesthetics of modern interiors should be based not only on modern-style forms and objects, but also on the characteristic touches and associations with the past, indispensable for highlighting individuality of the space.

NINO LAGHIDZE












IONAL WINEMAKING










# DEDAR-HERMES საქართველოშია

DEDAR ბრენდის სახელი წარმოადგენს აკრონიმს სიტყვებიდან Desgin D’arredamento, რაც ნიშნავს დეკორის დიზაინს.

კომპანია დაარსდა 1976 წელს ნიკოლა ფაბრიციოს, იტალიური დიზაინერული ავეჯის მწარმოებელი კომპანიის ერთ-ერთი მენეჯერის მიერ. ბ-ნი ნიკოლა მის მეუღლე ელდასთან ერთად ყოველთვის გატაცებული იყო ქსოვილით და ხალიჩებით, DEDAR დღესაც აგრძელებს ამ საოჯახო ტრადიციას.

კომპანიამ 12 თანამშრომლით დაიწყო მუშაობა, დღეს DEDAR -ში უკვე 100 ადამიანია დასაქმებული და წარმოდგენილია მსოფლიოს 53 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც და აგრძელებს გაფართოებას.

დღეისათვის DEDAR-ის კოლექციები მოიცავს 300-ზე მეტ დიზაინს და 3000-ზე მეტ ფერთა გამას. 700 000 მეტრი დასაწყობებული ქსოვილები 98%-ით უზრუნველყოფს შეკვეთის დაუყოვენებლივ მიწოდებას.

თავისუფლება,შთაგონება, ელეგანტურობა, ექსპერიმენტების სურვილი, უკომპრომისო ხარისხი და გამორჩეული დიზაინი ყოველთვის წარმოაჩენდა DEDAR-ის პროდუქტებს. DEDAR-ის ქსოვილის შექმნა ეს არის პროცესი რომელიც მოითხოვს ბევრ დროს, ზოგჯერ წლებსაც კი. პროცესი მოიცავს ექსპერიმენტებს, შეცდომებს და მხოლოდ მას შემდეგ როდესაც ყველა შეცდომა გამოირიცხება ხდება პროდუქტის წარმოებაში გაშვება, ეს ყველაფერი კეთდება, რათა საბოლოო პროდუქტი იყოს უნიკალური.

DEDAR-ის სათაო ოფისი მდებარეობს ქალაქ კომოსთან ახლოს. ეს ქალაქი წარმოადგენს იტალიის საწარმოო რეგიონის გულს, რომელიც საუკუნეების მანძილზე სპეციალიზებულია ქსოვილის შექმნაზე, განსაკუთრებით აბრეშუმზე. ეს მდებარეობა საშუალებას აძლევს DEDAR-ს პროდუქტის შექმნის სხვადასხვა სტადიაზე მოხდეს კონსულტაციები ტექსტილის ოსტატებთან, რომლებიც თაობების მანძილზე ქმნიდნენ ექსკლუზიურ პროდუქტებს, შესაბამისად საბოლოო პროდუქტი მიყვანილია ხარისხის იდეალურ დონემდე.

კომპანიის დაარსების დღიდან DEDAR-ის სახელი ყოველთვის ასოცირდებოდა ექსკლუზიურ პროდუქტებთან. კომპანიის ისტორიიდან და იმიჯიდან გამომდინარე მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა ბრენდმა HERMES-მა საკუთარი ქსოვილების, შპალერის და პანოების მწარმოებლად აირჩია DEDAR.











HERMES-ის დამახასიათებელი დიზაინი DEDAR-ის გამოცდილებით იდეალურად არის გადატანილი ქსოვილზე და შპალერზე, რაც ქმნის წარმოუდგენლად ლამაზ და გამორჩეულ პროდუქტებს.

DEDAR-HERMES-ის პროდუქტების მომხმარებლები არიან ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორიცაა ინგლისის დედოფალი, იტალიის პრემიერ მინისტრი, საფრანგეთის პრეზიდენტი და ა.შ. DEDAR-HERMES პროდუქტები გამოიყენება Dior, Cartier, Yves Saint Lauren, Armani, Damiani, Pomellato, Tod's შოურუმებში. DEDAR-HERMES-თან მუშაობენ მსოფლიოში ცნობილი დიზაინერები Jacques Garcia (Paris), Alberto Pinto (Paris), Pierre Yves Rochon (Paris), HBA Los Angeles, Peter Marino (New York), David Collins (London), Candy & Candy (London), Lissoni (Milano), Citterio (Milano), Matteo Thun, Michele Bonan (Florence).

DEDAR-HERMES პროდუქტები უკვე ხელმისაწვდომია საქართველოში, პრეზენტაცია ქართველი დიზაინერებისთვის გაიმართა „ბელ მეზონის" შოურუმში. უფრო დეტალურად პროდუქტებს შეგიძლიათ გაეცნოთ საიტზე www.dedar.it.















# რეტროსპექტიული გამოფენა გალერეა უნივერსში



ახლახან გალერეა „უნივერსში“ მოეწყო მხატვარ-არქიტექტორის, თენგიზ მახარაშვილის ნამუშევრების საინტერესო რეტროსპექტიული გამოფენა. იგი მრავალი ათეული წელია მუშაობს სახვით ხელოვნებაში და ბევრი გამოფენაც აქვს მოწყობილი, არა მარტო საქართველოში, არამედ მნიშვნელოვან ხელოვნების ცენტრებში: პარიზში, ვენაში, რომში, ბერლინში, მოსკოვში და ევროპის სხვა ქალაქებში. „უნივერსში“ მოწყობილი გამოფენა მნიშვნელოვანი იყო ახალი ნამუშევრების სიმრავლით და მათი გამომსახველობითი მრავალფეროვნებით. წარმოდგენილი იყო 110-ზე მეტი ფერწერული, გრაფიკული, კოლაჟის და არქიტექტურული ნამუშევრები.

თენგიზ მახარაშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მინიატურას, რომლის თემატიკა ასახავს ქართულ ლეგენდებს, ხალხურ პოეზიას, ძველი თბილისის მოქალაქეთა კოლორიტულ ყოფას და ქალაქურ ტრადიციებს. („მწირი“, „მუმლი მუხასა“, „შვიდნი გურჯანელნი“, „თბილისის ჭრელ აბანოში“, „ქალაქი და მოქალაქეები“, „ბერიკაობა“, „ძველი თბილისი“, „მეხალიჩეები“, „ოქრომჭედლები“, „ქართული სუფრის აკადემია“, „ქართული ჭიდაობა“ და ა.შ.

მხატვრის შემოქმედებაში აისახა, როგორც მთლიანად საქართველო („საქართველო კიდით-კიდემდე“, „შენ საქართველო“), ასევე მისი ცალკეული კუთხეები. მან შესძლო განეზოგადოებინა მათთვის დამახასიათებელი პეიზაჟური ელემენტები, ტრადიციები, ზნეჩვეულებანი, ტიპაჟი („კახეთი“, „გურია“, „სამეგრელო“, „სვანეთი“ და ა.შ.)





მხატვარი ოსტატურად გადმოგვცემს: რუსთაველის, ვაჟას, გალაქტიონის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის და სხვათა სიმბოლიზმით გაჯერებულ და ფერთა შესანიშნავი გამით შესრულებულ პორტრეტებს.

მთლიანობაში თენგიზის მინიატურებისთვის დამახასიათებელია შეკრული, გაწონასწორებული კომპოზიცია, მკაფიო ნახატი, ცინცხალი ფერადოვანი კოლორიტი, შესრულების მაღალი კულტურა. რა თემატიკაზეც არ უნდა მუშაობდეს მხატვარი, მის ნამუშევრებს აქვთ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხელწერა.



გარდა მინიტურისა მხატვრის ინტერესი მკვეთრად მჟღავნდება გრაფიკაში, კოლაჟში და თანამედროვე ფერწერაში.

ფერადი გრაფიკული ფურცლები, რომლებიც შერეული ტექნიკითაა შესრულებული, გამომსახველობით ორიგინალური და კომპოზიციურად დინამიურია. კოლაჟში შესრულებულ ნამუშევართა შორის გამოირჩევა სერია „პური ჩვენი არსობისა“, რომელიც სიმბოლიზმითა და კომოზიციის გადაწყვეტის ორიგინალობით გამოირჩევა და სხვადასხვა სახეობის პურის ნაწარმითაა შესრულებული.

ასევე მნიშვნელოვანია, სხვადასხვა ფერის ნაჭრებისა და აქსესუარებისგან შესრულე-



ბული ფერადოვანი და კომპოზიციურად დახვეწილი კოლაჟები.

გალერეა „უნივერსში“ გამართულ რეტროსპექტიულ გამოფენაზე მხატვარმა წარადგინა ზეთში შესრულებული 50-ზე მეტი თანამედროვე ფერწერული ნამუშევარი. დამთვარიელებელთა მოწონება დაიმსახურა ფერთა გამითა და კომპოზიციური ორიგინალობით გამორჩეულმა პეიზაჟებმა. („ყვავილი და პეპელა“, „ბრონწეულები“, „ასკილები“, „ბაბუაწვერა“, „მუხა“ სა სხვა), ანიმალისტურმა („პანტერა ხეზე“, „ბიზონი“, „ცხოველთა სამყარო“), ფიგურულმა („ქალი სარკით“, „ქალი და ყვავი“, „ესპანური ცეკვა“, „ადამი და ევა“, „მადამ ჟო-





ზე“, „საუბარი“ და ა.შ.), ფლორისტულმა („პეპლები“, „მერცხლები“, „ფარშევანგები“, „თევზები“, „დიდი თაიგული“, „ლურჯი ყვავილები“ და ა.შ.) და სხვა კომპოზიციებმა.

ალსანიშნავია, ასევე თავისუფალი, ხშირად კი სიმბოლიზმით გაჯერებული ფერადოვანი ტილოები (ტრიპტიხი „არქიტექტურული აქცენტები“, „წაქცეული ქალაქი, სერია „წითელი და შავი“, კომპოზიცია „შავი ყანწი“, „ურბანიზაცია“, „ხუთი ფანჯარა“, „ცირკი“ და ა,შ.)

როცა ვსაუბრობთ თენგიზ მახარაშვილზე,



არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მის არქიტექტურულ-პრაქტიკულ საქმიანობას, რომლის შედეგებიც წარმოდენილი იყო გამოფენაზე. იგი მრავალი პროექტის ავტორია. მათ შორის 35-ზე მეტი განხორციელებულია. ბოლო წლები ნაყოფიერი აღმოჩნდა მისთვის, რადგან კონკურსში გამარჯვების შედეგად აშენდა მის მიერ დაპროექტებული თანამედროვე, ევროსტანდარტების სკოლები ქ, ბორჯომში და სოფ. ჯუგაანში, თბილისში ზემო ვაკეში დამთავრდა წმ. გიორგის სახ. ეკლესიის მშენებლობა.





იგი ასევე წარმატებით მუშაობს ლანდშაფტ-ურ-დიზაინერული პროექტების შექმნასა და განხორციელებაში. (თბილისის კონსერვატორიის ეზო, სააგარაკო სახლების ეზოები წყნეთში, საგურამოში, მცხეთაში, წავკისში).

გამოფენას საკმაოდ ბევრი, სხვადასხვა სპეციალობის დამთვარიელებელი ჰყავდა, მაგრამ მათ შორის მაინც ჭარბობდნენ: მხატვრები, არქიტექტორები, დიზაინერები, ხელოვნებადმცოდნეები. ალბათ, ამიტომ, თენგიზმა დამთვალიერებელთა აზრის გასაგებად ჩაატარა მცირე ანონიმური გამოკითხვა. ანკეტაში მხოლოდ ერთი თხოვნა იყო: „ჩამოთვალეთ თქვენთვის ყველაზე საინტერესო რამდენიმე ნამუშევარი“. ასეთი გამოკითხვა უკვე მესამედ ჩატარდა, რამაც ავტორს საშუალება მისცა გაეგო დამთავალიერებელთა განზოგადოებული აზრი.

გამოფენა „უნივერსში“ იმითაც იყო საინტერესო, რომ რამდენიმე თვის წინ გამოვიდა





თენგიზ მახარაშვილის ძალზე საინტერესო სქელტანიანი, ფერადი შემოქმედებითი ალბომი, რომლის 220 გვერდი დათმობილი აქვს მხატვრის შემოქმედების ყველა მიმართულებას

(მინიატურა, ფერწერა, გრაფიკა, კოლაჟი, არქიტექტურა, დიზაინი). მის ტექსტურ ნაწილში კი მოცემულია ხელოვნებადმცოდნეების რეცენზიები, ინტერვიუ მხატვართან, აგრეთვე მისი ბიოგრაფიული მონაცემები, პერსონალური და ჯგუფური გამოფენების ჩამონათვალი და აშ.

ამასთან დაკავშირებით, თენგიზ მახარაშვილმა ჩვენთან საუბარში დიდი მადლიერების გრძნობა გამოხატა ავსტრიისა და ლუქსემბურგში მცხოვრები გულუების ოჯახისადმი და პირადად ქალბატონ ნინო გულუასადმი, რომელმაც არაერთგზის უანგარო დახმარება გაუწია მხატვარს პარიზში, ვენაში, ლუქსემბურგში და ა.შ. გამოფენების მოწყობაში, ფერადი კატალოგების და ძალზე მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ალბომების გამოცემაში. სასიხარულოა, რომ არიან ადამიანები - ხელოვნებისა და ხელოვანთა დამფასებლები, რომლებიც თავისი კეთილი ქმედებებით ხელს უწყობენ შემოქმედებითი პროცესის განვითარებას და წარმოჩენას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თენგიზ მახარაშვილის შემოქმედებითი ცხოვრება მრავალმხრივი და წარმატებულია. ახალი იდეები, სამყაროს საინტერესო ხედვა, მის ნამუშევრებს ანიჭებს თვითმყოფადობას და ორიგინალობას.

ნინო ლაღიძე









# Retrospective Exhibition in Gallery "Universe"

Not long ago, Gallery "Universe" hosted an interesting retrospective exhibition of artist and architect Tengiz Makharashvili. With his long-term artistic background, Tengiz Makharashvili organized numerous exhibitions in Georgia and such cultural hubs as Paris, Vienna, Rome, Berlin, Moscow and other cities of Europe. The exhibition arranged in "Universe" was notable for the large amount and diversity of new works. The artist presented over 110 paintings, drawings, collages and architectural projects.

Another highlight of the exhibition was presentation of a newly-issued album covering Tengiz Makharashvili's art. The 220-page publication offers photos, descriptions and reviews of Tengiz Makharashvili's miniatures, paintings, drawings, collages, architectural and design projects, as well as records of interviews with the artist, his biography, listing of his exhibitions, etc.

Tengiz Makharashvili expresses his gratitude toward members of Gulua family living in Austria and Luxembourg. He specially thanks Nino Gulua, who selflessly supported the artist's exhibitions in Paris, Vienna, Luxembourg, etc. on numerous occasions and funded publishing of his catalogues and albums. It is comforting and pleasing to know there are people who value artists and contribute to development and promotion of art.

NINO LAGHIDZE








# დიზაინ-განათლების რეალიები და პერსპექტივები

ინდუსტრიული საზოგადოება შეცვალა პოსტინდუსტრიულმა. ახალი მენტალიტეტი ბადებს ახალ ენას, ახალ კოდს. მკვიდრდება ახალი კულტურული ეპოქა. მიმდინარეობს XXI-ე საუკუნის სტილის ინტენსიური ფორმირება. მოდერნისტულ დიზაინს, რომელიც მთელ XX-ე საუკუნეს მოიცავდა, პოსტმოდერნისტული დიზაინი ცვლის. კარდინალურმა ცვლილებებმა დაანგრიეს პროფესიონალური შემოქმედების არსებული სტრუქტურაც და პროფესიონალურ ფასეულობათა სისტემაც. დღეს ყველა ლაპარაკობს დიზაინერული განათლების კრიზისზე.

2000 წელს, სეულში, საერთაშორისო კონგრესზე მიღებული იყო სპეციალური მანიფესტი დიზაინერული განათლების შესახებ. მანიფესტში აღინიშნა მიმდინარე კარდინალური ცვლილებები. მოხდა კონსტატაცია ადეკვატური საგანმანათლებლო კონცეფციების არარსებობისა. გაისმა მოწოდება ექსპერიმენტატორობისაკენ, რომლის პროცესის დროს საჭიროა ახალგაზრდა თაობის ინტუიციის პატივისცემა და მის გვერდით დგომა. კერძოდ, მასში ნათქვამია: „პედაგოგზე ცენტრირებული განათლებიდან აუცილებელია გადასვლა განათლებაზე, რომელიც სტუდენტს ექსპერიმენტატორობის უფლებას ანიჭებს და საშუალებას აძლევს განავითაროს საკუთარი პოტენციალი როგორც აკადემიური პროგრამების ჩარჩოში, ასევე მათ ფარგლებს გარეთ“. ამდენად, დიზაინერ-პედაგოგის როლი იცვლება. იგი არის არა ცოდნისკენ გამკვალიანებელი, არამედ მშთაგონებელი, შემამსუბუქებელი და ორიენტირებული უფრო ნაყოფიერი პრაქტიკისათვის.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოდ გვეჩვენება აშშ-ის პროფესიონალური განათლების სისტემის თავისებურებათა განხილვა. ასე, მაგალითად, 1970-იანი წლების დასაწყისისთვის ამერიკული დიზაინის განვითარებაში უფრო და უფრო იკვეთება კრიზისის ნიშნები. შეიქმნა სიტუაცია მიახლოებული იმ მდგომარეობას, რაშიც დღეს აღმოჩნდა ქართული დიზაინ-განათლება. იმ პერიოდისათვის ამერიკაში დაგროვდა ახალი სოციალური, პოლიტიკური და ეკოლოგიური პრობლემები, რამაც დიზაინერებს უბიძგა საზოგადოებაში თავისი პროფესიონალური მდგომარეობის გადახედვისაკენ. ამასთან დაკავშირებით ამერიკულ დიზაინში გაჩნდა რამდენიმე ახალი მიმართულება, მათ შორის ე. წ. ჰუმანიტარული დიზაინი.

ჰუმანიტარული დიზაინის აქტიური მქადაგებელია დიზაინის ერთ-ერთი უმსხვილესი პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი ვ. პაპანეკი (1925-1999). ვ. პაპანეკის ღრმა რწმენით, დიზაინის სწავლების მეთოდები ამერიკაში იმ დროისათვის უკვე მოძველებული იყო. იგი თვლიდა, რომ თანამედროვე დიზაინერები უნდა მომზადდნენ როგორც დამპროექტებელ-უნივერსალები, რომელთაც, სხვა ყველაფერთან ერთად, შეუძლიათ ფართო სოციალური პრობლემების გადაწყვეტა. ამერიკული სკოლების ძირითად ნაკლად მეცნიერი მიიჩნევდა იმ გარემოებას, რომ ისინი ზედმეტად დიდ დროს უთმობენ დიზაინის სწავლებას და არასაკმარისად - ეკოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროს, სადაც დიზაინი ფუნქციონირებს. სტუდენტები მეტწილად შრომისმოწყობით იყვნენ დაინტერესებულნი. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ვიწრო სპეციალიზაცია დაეხმარება მათ სანუკვარი სამუშაოს პოვნაში, მაგრამ, ჯამში, ეს პოზიცია მცდარი იყო. ასეთი კურსდამთავრებულნი ამერიკაში ხშირად იოლად პოულობდნენ პირველ სამუშაოს, მაგრამ, რამდენიმე წელიწადში ისევ კარგავდნენ მას. კარიერას კი ის გაიკეთებს, თვლიდა ვ. პაპანეკი, ვისაც სინთეზის ნიჭი აქვს, ვისაც შეუძლია ანალიზი, ვისაც ამოცანათა ფართო წრის გადაწყვეტის უნარი გააჩნია. თავისი მიდგომები ვ. პაპანეკმა განახორციელა საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში. თითოეული სტუდენტის სწავლების პროგრამაში იგი რთავდა რაც შეიძლება მეტი დისციპლინის რაოდენობას. ამით ვ. პაპანეკი ცდილობდა გაერღვია „ხელოვნური ბარიერები“ დიზაინის სხვადასხვა სპეციალიზირებულ სფეროებს შორის. მეცნიერი მოუწოდებდა თავის სტუდენტებს შეესწავლათ სოციოლოგია, ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია... . ამასთან სტუდენტს უტოვებდა თავისუფალი არჩევანისათვის პროგრამის დაახლოებით ერთ მესამედს.

დიზაინისადმი სოციოკულტუროლოგიური მიდგომის მომხრე გახლდათ აგრეთვე ამერიკის ერთ-ერთი ავტორიტეტული დიზაინერი არტურ პულოსი (1917–1997). არტურ პულოსი 1980-იანი წლების დასაწყისში ინდუსტრიალური დიზაინის ორგანიზაციათა საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტისა და დიზაინის საკითხებში იუნესკოს მრჩევლის პოსტებს იკავებდა. ა. პულოსი ასწავლიდა ამერიკის ბევრ უნივერსიტეტში.1955-1982 წლებში იგი იყო სირაკუზის უნივერსიტეტის პრესტიჟული დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი და ხელმძღვანელი.

ა. პულოსმა შეიმუშავა დიზაინერული განათლების ერთ-ერთი საინტერესო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა სპეციალისტების მომზადებას ფართო საწიერითა და კვლევითი მუშაობის უნარებით. მდიდარმა პრაქტიკულმა და პედაგოგიურმა გამოცდილებამ ა. პულოსს ნება მისცა კრიტიკულად შეეფასებინა აშშ-ში დიზაინერული განათლების მდგომარეობა. მეცნიერმა განაცხადა სასწავლო პროგრამების გადახედვის აუცილებლობა პროფესიონალური პრაქტიკის გართულების გათვალისწინებით. მან ეს აუცილებლობა დაუკავშირა თანამედროვე საზოგადოების მიერ წამოჭრილ ახალ პრობლემებსა და გამოწვევებს. ა. პულოსმა, როგორც ვ. პაპანეკმა, წამოაყენა წინადადება დიზაინერთა მომზადების სასწავლო პროგრამების ახლებურად გააზრებისა. იგი თვლიდა, რომ მთელი ყურადღება მხატვრული დისციპლინების შესწავლაზე კი არ უნდა იყოს გამახვილებული, არამედ საჭიროა მეტი დრო დაეთმოს ჰუმანიტარულ მეცნიერებებისა და ფსიქოლოგიის შესწავლასაც. იგი თვლიდა, რომ აუცილებელია ახალი პროგრამა, გათვალისწინებული სპეციალისტთა მომზადების სამ ეტაპზე. პირველი ორი წელი ეძღვნება ძირითად პროფესიონალურ უნარ-ჩვევებისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. პარალელურად სტუდენტები შეისწავლიან თანამედროვე ტექნოლოგიას, ჰუმანიტარულ და ფსიქოლოგიურ დისციპლინებს, რაც აუცილებელი ცოდნის ათვისებას ხელს შეუწყობს და დაეხმარება სტუდენტებს მომავალი პროფესიის სოციალური როლის გააზრებაში. შემდეგ ეტაპზე ა. პულოსი სთავაზობს ცოდნის გაღრმავებას ესთეტიკის, ჰუმანიტარულ და ზუსტი მეცნიერებების დარგებში. აგრეთვე სთავაზობს მართვის ორგანიზების, ახალი პროდუქციის გამოშვების დაგეგმარების, სხვადასხვა სათანადო პროგრამების დამუშავების საფუძვლების ათვისებას. ბოლო ეტაპი - ორწლიანი მაგისტრატურა. მაგისტრატურა უზრუნველყოფს დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის ჩვევების გამომუშავებას და პრობლემების გადაწყვეტის უნარებს, რომლებიც არ ჯდება დიზაინერთა ტრადიციული პრაქტიკული საქმიანობის ჩარჩოში. და ყველაზე მთავარი პრობლემა - დიზაინერმა უნდა ისწავლოს მომხმარებლის მოთხოვნილებათა ანალიზი და ფორმირება.





1970-იანი წლების ვნებათა ღელვა რომ ჩაწ-








ყნარდა, აღმოჩნდა, რომ მათ მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი ამერიკული სისტემის დიზაინ-განათლების გადასვლას ომისშემდგომ ათეულწლებთან შედარებით ხარისხობრივად ახალ დონეზე. დღეისათვის აშშ-ის პროფესიონალური განათლების სისტემა, როგორც აღვნიშნავდით, ძალზე მოქნილია და სტუდენტ-დიზაინერთა სწავლების სხვადასხვაგვარ პროგრამებს გვთავაზობს. იგი უმაღლეს სკოლას ანიჭებს ფართო ავტონომიას სპეციალისტების მომზადების რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შერჩევაში, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. ასე, მაგალითად, ტექნიკური განხრის პროგრამების პრიორიტეტია,- როგორც, მაგალითად, დიზაინის ინსტიტუტში ან სტანფორდის უნივერსიტეტში, - პროექტირების კონკრეტული პრობლემების კვლევა და გადაწყვეტა. მაგისტრატურის დონეზე სპეციალისტების მომზადება მიმდინარეობს ესთეტიკისა და თეორიის დარგში. კრანბრუკსკის ხელოვნების აკადემიაში კი ფრანგული ლიტერატურის ისტორიის განხილვა დიზაინერთა სწავლების პროგრამის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი გახლავთ. კალიფორნიის უნივერსიტეტში სტუდენტებს, პირველ რიგში, კარგი სამსახურის შოვნის საშუალებებსა და ხერხებს ასწავლიან. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კურსდამთავრებულის პორტფოლიოს, ასევე მის პირადულ მომხიბლაობას და, როგორც პედაგოგები ამბობენ, შთაბეჭდილების მოხდენის უნარს. ენ დე ფორესტი, ნარკვევის ავტორი აშშ-ში დიზაინ-განათლების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, წერს: „ამერიკული დიზაინის სკოლებში ყველა მასწავლებელი ან, ყოველ შემთხვევაში, ყოველი პროგრამა თავის საკუთარ წესებს კარნახობს“.

ამერიკელ ნოვატორთა წარმოდგენები დიზაინერული განათლების მიზნებსა და შინაარსის შესახებ ჩვენ არ გვეჩვენება გადამეტებული, ან უტოპიური. რა თქმა უნდა, სწავლების უნივერსალური მეთოდი არ არსებობს. თუმცა, ვფიქრობთ, ჩვენი უმაღლესი დიზაინ-განათლებისათვის, რეფორმების გზას რომ ადგას, ამერიკული გამოცდილებაც სასარგებლო იქნება. არ არის საჭირო ველოსიპედის გამოგონება.

აშშ-ს მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება პროფესიონალური მომზადების მიზნები და შინაარსი იცვლებოდეს დროის მოთხოვნების შესაბამისად. როგორ შეიძლება უკვე დაგროვილი გამოცდილებიდან კი არ უარყოფდე რაიმეს, არამედ, პირიქით, მდიდრდებოდე ახალი პედაგოგიური კონცეფციებით. მაგალითად, დასავლური დიზაინ-განათლება დიდი ხანია ითვალისწინებს ყველა იმ თავისებურებას, რაც ტანსაცმლის დამზადების მსოფლიო ინდუსტრიას ახასიათებს. ასეთივე უნდა იყოს ჩვენი მუშაობის ძირითადი პრინციპი - შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტების პროგრამებთან. აუცილებელია ინერგებოდეს სტუდენტთა სწავლების ახალი მეთოდიკა, განსხვავებული ადრინდელისაგან, აკადემიურისაგან, რომელიც თანამედროვეობის მოთხოვნებს უპასუხებს და შეძლებს მოახდინოს ცვლილებებზე სწრაფი და მოქნილი რეაგირება.

ვფიქრობთ, რომ, მხატვრული დისციპლინების სწავლება, უპირველესად, რა თქმა უნდა, უნდა იყოს მიმართული პიროვნულად ორიენტირებულ სწავლებაზე. აქ სადავო არაფერი უნდა იყოს. ასეთი მიდგომა ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ მონაცემებს, ნიჭსა და შესაძლებლობებს, იყენებს მოწინავე პედაგოგიურ და საინფორმაციო ტექნოლოგიებს. ასევე ეჭვგარეშეა, რომ სწავლების სისტემა დაბალანსებული პროგრამებით უნდა იყოს გაჯერებული. ასეთი პროგრამები სტუდენტის მხატვრული კულტურის ამაღლებაზე იმუშავებენ და, ამავე დროს, თანამედროვე საზოგადოების შეცვლილ მოთხოვნებსაც გაითვალისწინებენ.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, თანამედროვე ეკონომიკური სიტუაცია განსაზღვრავს, რომ ვიწრო სპეციალობა - მოდელიორი - დღეს, ცვალებადი სტილების პირობებში, არ არის საკმარისი. თუმცა, ტანსაცმლის დამზადებაში სერიოზული ჩვევების გარეშეც არც დიზაინის სწავლება არ იძლევა სათანადო რეზულტატებს. სწორედ აქედან გამომდინარეობს ახალი მოთხოვნები როგორც სპეციალისტთა მომზადებისადმი, ასევე, შესაბამისად, სწავლების ფორმებისადმიც.

საერთაშორისო დიზაინ-სწავლების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია - ორიენტაცია არა იმდენად ცოდნის გადაცემაზე, რომელიც მუდმივად ძველდება, არამედ, საბაზო კომპეტენციების ათვისებაზე. ეს მიდგომა, შემდგომ, აუცილებლობის მიხედვით, ცოდნის დამოუკიდებლად ათვისების საშუალებას იძლევა. ამიტომ უნდა იყოს ასეთი განათლება უფრო მჭიდრო კავშირში პრაქტიკასთან, ვიდრე ტრადიციული იყო. პრაქტიკა - ჭეშმარიტების კრიტერიუმია. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ სწავლების ხარისხის შეფასების ერთადერთი უტყუარი მეთოდია სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა მოცემულ საგნობრივ სივრცეში. არანაირი გამოკითხვები და ტესტები არ წარმოგვიდგენენ ზუსტ ვითარებას. აქედან, უფრო ეფექტურია პროექტების მეთოდი, რადგან იგი იდეის განვითარების ყოველი ეტაპის ანალიზისა და, მეტიც, ამ იდეის ნაწარმში კონკრეტულ განასახიერებულობის დანახვის შესაძლებლობას იძლევა.

ეჭვს არ იწვევს, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ლექტორს. მოჭარბებულმა ცვლილებათა სიჩქარემ გამოუსადეგი გახადა პედაგოგის პიროვნება ფიქსირებადი მოვალეობებით, რომელსაც გასულ დროს აღმოჩენად აღიქვამდა საზოგადოება. პედაგოგის როლი ფართოვდება: იგი აქტიურობს სწავლებაში რეალური პირობების შესაქმნელად, დემონსტრირებს მსოფლიო პროცესების თანამედროვე გაგებას. წარმოიშვა მოთხოვნა ექსპერიმენტატორ პიროვნებაზე, რომელიც ამუშავებს და ნერგავს სასწავლო პროცესში საპროექტო მეთოდებს, ეძებს სწავლების ახალ ფორმებს. ჩვენი აზრით, აუცილებელია მოკლევადიანი კურსების ჩატარება პედაგოგთათვის, ვინც კარგად არ ფლობს საინფორმაციო-საკომუნიკაციო საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს. ბუნებრივია, ასეთი კურსები უნდა ტარდებოდეს იმ დაწესებულების ხარჯზე, სადაც პედაგოგი მუშაობს.

ყოველ ინსტიტუტს, უნივერსიტეტსა თუ აკადემიას, შეძლებისდაგვარად, მოსაწყობი აქვს საკუთარი ელექტრონული ბიბლიოთეკა, განთავსებული დაწესებულების ოფიციალურ საიტზე. ამ ბიბლიოთეკაში თავმოყრილი უნდა იყოს სრული სასწავლო, აგრეთვე სხვა ლიტერატურა, რომელიც დაჭირდება სტუდენტს სრულფასოვანი სწავლებისათვის. რა თქმა უნდა, ამასთან, სტუდენტი უზრუნველყოფილ უნდა იყოს უფასო დაშვებით თავისი უმაღლესის ბიბლიოთეკისა და სხვა პარტნიორულ ბიბლიოთეკების რესურსებთან. დაშვების უზრუნველყოფა, სხვა ყველაფერთან ერთად, გულისხმობს მოხერხებულობას სარგებლობის პროცესში, საჭირო წიგნის ძიებაში და ა.შ.

ამდენად, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ჩვენი დიზაინ-განათლების რეანიმაციის საკმაოდ თვალნათლივი რიგი წინაპირობებისა (რა თქმა უნდა არასრული და, შეძლებისდაგვარად, მიახლოებითი):

- სასწავლი პროცესში დაძველებული ობიექტური მეთოდიკების უარყოფა და გადასვლა პიროვნულ, სუბიექტურ გამოცდილებაზე და შემოქმედებით ინტუიციაზე;
- სასწავლი პროცესში შემოქმედებითი ლიდერების ჩართვა, ვისაც აქტიური პროფესიონალური პოზიცია უკავია;
- საავტორო პედაგოგიური ძიებებისათვის ხელის შეწყობის რეჟიმის შექმნა;
- ფართო სპექტრის პროექტებისა და პროგრამების აპრობირება და გამჭირვალობა, ინოვაციური სივრცის შექმნა;
- სასწავლო პროცესის გარდაქმნა უახლესი კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძველზე; დიზაინ-სწავლების ახალი, დინამიური სტილის, ახალი პედაგოგიური კულტურის ჩამოყალიბება;
- სტუდენტთა პირადი აქტიურობის სტიმულირება, თვითსწავლის, დამოუკიდებელი ძიებების ნიჭის განვითარება
- ქართული განათლების მიერთება მსოფლიო დიზაინ-პედაგოგიკის განვითარების პროცესს, ჩართვა საერთაშორისო სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტებსა და პროგრამებში;
- ვიზუალური კულტურის მომიჯნავე დარგებთან აქტიური ურთიერთმოქმედება;
- ინტეგრაცია ზოგადჰუმანიტარული საგანმანათლებლო პროექტებთან და პროგრამებთან.

რა თქმა უნდა, აქ წარმოდგენილი მოსაზრებები სულაც არ გულისხმობს, რომ ჩვენ მივაგენით დიზაინ-განათლების გადარჩენის უტყუარ და ამომწურავ ხერხებს. მაგრამ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ წამოჭრილი პრობლემები ძალზე მტკივნეულია საზოგადოებისათვის და წარმოადგენს უდავო აუცილებლობას,რათა ამ პრობლემებზე საჯარო და პრინციპული მსჯელობა დაიწყოს

ნინო მგალობლიშვილი
სამხატვრო აკადემიის
ასოცირებული პროფესორი









# ოთხი დღე სტურუას შექსპირის სამყაროში

მაისში ყოველ პარასკევს, შუადღის 3 საათზე, ხელოვნების ცენტრ „რუბიკონში“ მხოლოდ თსუ-ის სტუდენტებისთვის იწყებოდა რობერტ სტურუასეული შექსპირის შემოქმედების გაცნობა. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ სპეციალურად მოწყობილ გამოფენაზე ენახათ რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცული ექსპონატები, მოესმინათ საუბრები და პირადად დაესვათ კითხვები რობერტ სტურუასთვის, გია ყანჩელისთვის, გერტრუდასა და ოფელიას როლების შემსრულებელი მსახიობებისთვის. ენახათ სტურუას დადგმული სპექტაკლების „რიჩარდ მესამის“, „ჰამლეტის“, „შობის მეთორმეტე ღამის“ და „ქარიშხალის“ ვიდეო ჩანაწერები. ეს ღონისძიებები პროექტის – „ოთხი დღე სტურუას შექსპირის სამყაროში“ ფარგლებში სპეციალურად თსუ-ის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებისთვის მოეწყო, რომლებიც სასწავლო პროგრამის მიხედვით სწორედ ახლა სწავლობენ შექსპირის შემოქმედებას. მათ ხელოვნების ცენტრ „რუბიკონში“ გამართულ ღონისძიებებზე საშუალება მიეცათ უფრო მეტი გაეგოთ და გაეანალიზებინათ, როგორია შექსპირის სტურუასეული ინტერპრეტაცია, როგორ იდგმებოდა რიჩარდ მესამე, რა დატვირთვა აქვს მუსიკას რობერტ სტურუას შემოქმედებაში, ასევე რა როლს თამაშობს გია ყანჩელის მუსიკა შექსპირის პიესების რუსთაველის თეატრის სცენაზე გადატანაში და ა.შ.



„ბევრჯერ მითქვამს და ახლაც მინდა გავიმეორო, რომ რობერტ სტურუა უპირველეს ყოვლისა მიმაჩნია მუსიკოსად და მერე თეატრალურ რეჟისორად. შეიძლება მუსიკაში ჩემზე მეტადაც კი არის გათვითცნობიერებული. კარგად მახსოვს, როდესაც მასთან სახლში პირველად მივედი, დედამისმა გამიღო კარი და მომესმა ბახის ერთ-ერთ პრელუდიას როგორ ასრულებდა. ჩემ მიერ მიტანილი რომელიმე თემის ან მუსიკალური სახის გამო ხშირად ყოფილა, რომ გარკვეული მიზანსცენა შეუცვლია. ასეთი საინტერესო შემთხვევა მოხდა „რიჩარდ მესამის“ დადგმის დროსაც“, – იხსენებს დიდი ქართველი კომპოზიტორი გია ყანჩელი რობერტ სტურუასთან მუშაობას.

თუ როგორ შეიქმნა სპექტაკლი „რიჩარდ მესამე“ სტუდენტებთან შეხვედრისას რობერტ სტურუამ გაიხსენა.




„როდესაც ამ სპექტაკლის უწყვეტი რეპეტიცია ვნახეთ მივხვდით, რომ სპექტაკლი არ გამოვიდოდა. ძალიან დამწუხრებული იყო რამაზ ჩხიკვაძეც, რადგან რუსთაველის თეატრში პოტენციური რიჩარდი იყო და მე მაინცდამაინც კომიკოსი ავირჩიე. ზოგიერთს გაუხარდა კიდეც, რომ სპექტაკლი არ გამოვიდა. თუმცა ორი თვის შემდეგ რაღაცები მოვიფიქრე და რამაზს ვუთხარი, რომ მუშაობა თავიდან დაგვეწყო. საერთოდ, ძალიან რთულია მიუბრუნე სპექტაკლს, რომელიც ჩავარდა. რამაზი, რომ არა შეიძლება ამაზე მუშაობა აღარც გაგვეგრძელებინა, ასევე, დიდი როლი ითამაშა გია ყანჩელის მუსიკამ. მუსიკამ, რომელსაც ჩვენ პირობითად „რექტაემი“ ვუწოდეთ, სპექტაკლს ირონიული ატმოსფერო შემატა, მანმადე კი მხოლოდ საშინელი ტრაგედიის შთაბეჭდილებას ტოვებდა“, – იხსენებს
















რობერტ სტურუა.

ხელოვნების ცენტრ „რუბიკონში“ მსახიობებთან ნინო კასრაძესთან და ია სუხიტაშვილთან გამართულ შეხვედრაზე, რომლებიც გერტრუდასა და და ოფელიას როლებს ასრულებენ, თეატრის მიმართ ახალგაზრდების გულგრილი დამოკიდებულების პრობლემაზე ისაუბრეს. პროექტის „ოთხი დღე სტურუას შექსპირის სამყაროში“ შეფასებისას მსახიობებმა განაცხადეს, რომ პროექტი ახალი თაობის თეატრთან დაახლოების პროცესზეც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს.

„შთამბეჭდავი საღამო იყო, სტუდენტების ფაქიზი, ღრმა და იუმორით სავსე შეკითხვებით. უცილებლად უნდა გაგრძელდეს ასეთი პროექტები. ეს სიმდიდრეა პირველ რიგში სტუდენტებისთვის და ჩვენთვისაც ძალიან დიდი სტიმულია“, – ასეთი გახლდათ პროექტის „ოთხი დღე სტურუას შექსპირის სამყაროში“ ნინო კასრაძის შეფასება.

„ერთხელ ნინო კასრაძემ მითხრა, როდესაც სადმე შევდივარ და მცნობენ, მიხარია, რადგან ვხვდები ის ადამიანები თეატრში დადიანო.

სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები დღეს იშვიათად ხდება. საზოგადოება თეატრის მიმართ თითქოს ნეგატიურად განეწყო. არ ვიცი ეს რამ განაპირობა. ყველა პროდუქტი, რომელსაც თეატრები მაყურებელს სთავაზობენ ცუდი ხომ არ არის? ბოლოს „ჰამლეტის“ პრემიერაზე მახსოვს უამრავი მაყურებელი. ვფიქრობ, ასეთი პროექტები ხალხის თეატრთან დაახლოებას გამოიწვევს და იმედი მაქვს, მსგავსი ღონისძიებები მომავალშიც აუცილებლად განხორციელდება“, – აღნიშნა მსახიობმა ია სუხიტაშვილმა.

პროექტის „ოთხი დღე სტურუას შექსპირის სამყაროში“ იდეის ავტორი **ინგლისური ლიტერატურის ისტორიის ლექტორი, ფილოლოგიის დოქტორი დავით მაზიაშვილი გახლდათ.**

ჩანაფიქრი რუსთაველის თეატრის, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის, ხელოვნების ცენტრი „რუბიკონის“ და თსუ-ის „საკვირაო ლიტერატურული კლუბის“ ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა. მისი მთავარი მიზანი სტუდენტებში შექსპირის ტექსტების, თეატრალური დადგმების შესწავლის ინტერესის გამძაფრება და ახალგაზრდებში კვლევითი საქმიანობის დაწყების წახალისება იყო.

ალსანიშნავია, რომ ასეთი სახის ღონისძიებების სასწავლო პროცესთან შეთავსება ქართულ სინამდვილეში პირველად მოხდა.

„ამ პროექტის იდეა მაშინ გამიჩნდა, როდესაც აუდიტორიაში შექსპირის სალექციო კურსის წასაკითხად შევედი. მინდოდა, სტუდენტებისთვის ის სამყარო გამეცოცხლებინა, რომლისთვისაც შექსპირი პიესებს ქმნიდა. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა არა მხოლოდ კარგად იცოდნენ შექსპირის ტექსტი, არამედ კომპლექსურად აღიქვან იგი. ამავე დროს, აუცილებელია ისინი გემოვნებიან და ინტელექტუალურ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ. ამის უნიკალური საშუალება კი სწორედ შექსპირისა და სტურუას შემოქმედებაა“, – განაცხადა დავით მაზიაშვილმა.

ხელოვნების ცენტრ „რუბიკონში“ გამართულ ღონისძიებებზე ცნობილი გახდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექსპირის კაბინეტის აღდგენა იგეგმება, რაც შექსპირის შემოქმედების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გააქტიურებას შეუწყობს ხელს. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის მანანა გელაშვილის ინფორმაციით, ცენტრს ახალგაზრდა ლექტორი დავით მაზიაშვილი უხელმძღვანელებს.







„ნიკო ყიასაშვილის სიკვდილის შემდეგ გვახსოვს, როგორ დაიხურა თსუ-ში შექსპირის კაბინეტი, ახლა მის ხელახლა გახსნას ვგეგმავთ, რომელსაც დათო მაზიაშვილი უხელმძღვანელებს. ასევე გვაქვს პროექტი, რომლის ფარგლებშიც თსუ-ის ვებგვერდს ელექტრონული ქართული შექსპირიანა მიებმება, სადაც კვლევები, თარგმანები და იმ ადამიანების შესახებ ინფორმაცია განთავსდება, ვინც შექსპირის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა. რაც შეეხება პროექტს „ოთხი დღე სტურუას შექსპირის სამყაროში, ისტორიული მოვლენა გახლდათ. ვფიქრობ, თეატრი და უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ბურჯებია და მიხარია, რომ მათი ტანდემი შედგა“, –აღნიშნა მანანა გელაშვილმა.

პროექტის „ოთხი დღე შექსპირის სამყაროში“ ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რუსთაველის თეატრის ტანდემი რომ წარმატებით შედგა, ღონისძიებების დასრულების შემდეგ სტუდენტების მიერ გაკეთებულ კომენტარებშიც აისახა.

„ბევრ საიდუმლოს აეხადა ფარდა. გავიგეთ, თუ როგორ მუშაობენ მსახიობები რეჟისორთან, რითი განსხვავდებიან მათ მიერ განსახიერებული პერსონაჟები შექსპირისეული პერსონაჟებისგან. მაგალითად, გერტრუდა წიგნში უფრო უარყოფით პერსონაჟად გვევლინება, ვიდრე სპექტაკლში, ოფელია კი წიგნში უფრო ქარაფშუტაა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო საუბრები რობერტ სტურუასთან“, – გვითხრა თსუ-ის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების IV კურსის სტუდენტმა მანანა ბოკუჩავამ.

„ჩვენ იშვიათად გვეძლევა შანსი შევხვდეთ ასეთ დიდ ადამიანებს. გავიზიაროთ მათი შეხედულებები შექსპირის სამყაროზე და ჩვენს მოსაზრებებს შევადაროთ. ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა ახალი აღმოჩენებისკენ გვიბიძგებს და ახალი სამყაროს ხედვის შესაძლებლობას გვაძლევს“, – აღნიშნა თსუ-ის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების IV კურსის სტუდენტმა ნინო ბერიაშვილმა.

პროექტი „ოთხი დღე სტურუას შექსპირის სამყაროში“ რობერტ სტურუას დაჯილდოების ცერემონიით დასრულდა. დიდ ქართველ რეჟისორს ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი გადაეცა.

„შეხვედრები ახალგაზრდებსა და რეჟისორს შორის მნიშვნელოვანია. დროს რომ არ ჩამორჩე უნდა გაიგო მათ რა შეხედულებები და როგორი გემოვნება აქვთ, უკეთესად გაიცნო ის ადამიანები, ვისთვისაც სპექტაკლებს დგამ. ძალიან გამიხარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლის მიღება, ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას“, – განაცხადა ღონისძიების დასასრულს რობერტ სტურუამ.

ხელოვნების ცენტრი „რუბიკონი“, რომელმაც უნივერსიტეტელებს უმასპინძლა, ჯერ ოფიციალურად არ გახსნილა, თუმცა საზოგადოებისთვის ბევრი საინტერესო სიახლის შეთავაზებას გეგმავს. მათ შორის იქნება სპექტაკლები სცენაზე, რომელსაც მაყურებელი ორი მხრიდან უყურებს, პოეზიის საღამოები, კამერული კონცერტები და მსოფლიო კინოს შედევრების ჩვენებები. რაც შეეხება რობერტ სტურუას უნივერსიტეტთან თანამშრომლობას, გაგრძელდება, თუმცა როგორ და რა სახით, ეს უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

**ნატო ოზოლაძე**
გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ (8)
2013 წლის 17 ივნისი














# Four Days in Shakespeare's World

Every Friday in May 2013 Art Center "Rubicon" offered Tbilisi State University students an opportunity to study Shakespeare's plays and Robert Sturua's stage direction work. Students could view exhibits from Rustaveli Theater collection, attend discussions, personally ask questions to Robert Sturua, Gia Kancheli and actresses who played the parts of Gertrude and Ofelia or watch video records of plays staged by Robert Sturua: "Richard III", "Hamlet", "Twelfth Night" and "The Tempest". These activities were organized under the project "Four Days in Shakespeare's World" intended for English language students of Tbilisi State University, who had Shakespeare in their BA curriculum at that time. Art Center "Rubicon" offered a large amount of extracurricular information; students could analyze Sturua's interpretation of Shakespeare's plays, learn about staging issues and the importance of musical background, etc.

Idea of the project "Four Days in Shakespeare's World" was conceived by David Maziashvili, Doctor of Philology and teacher of English literature history.

The plan was jointly realized by English Language Studies Department of TSU Faculty of Humanities, Art Center "Rubicon" and TSU's Weekend Literary Club. Main goal of the project is to increase the interest of students toward Shakespeare's plays, to motivate research activity among young people.

This is the first instant when such events are combined with educational process.

"I first got this idea when I entered an auditorium with an intention to read a cycle of lectures on Shakespeare. I wanted the students to feel the world, for which Shakespeare wrote his plays. It is important to make sure that students not just study Shakespeare's plays properly, but also have their complex understanding. At the same time, they should develop into intelligent people with refined taste. Shakespeare's masterpieces and Sturua's work are perfect tools for this," said David Maziashvili.

During project-related events organized in Art Center "Rubicon" it became known that Tbilisi State University plans to restore Shakespeare Center in order to activate scientific research of Shakespeare's art. According to professor of TSU Faculty of Humanities Manana Gelashvili, the Center will be managed by young teacher David Maziashvili.

Project "Four Days in Shakespeare's World" ended in passing an award to Robert Sturua. Ivane Javakhishvili Tbilisi State University granted the great Georgian stage director a medal for outstanding contribution to development of Georgian culture.

"Meetings with young people are essential. It is crucially important to study their taste and mindset in order to keep up with the times. To put it even shorter, you have to know the people for whom you stage performances. I was really happy to receive a TSU medal and would like to thank University administration for this award," said Robert Sturua at the end of award ceremony.

Art Center "Rubicon", which hosted the event, is not officially launched, but we already know that it has interesting plans to offer to the public. Their future projects include theatrical performances on a stage accessible from two sides, poetry readings, chamber concerts, screening of the world's best movies, etc.

NATO OBOLADZE
Newspaper "Tbilisi University" (8),
June 17 2013









# Augmented Reality Tbilisi – ARTbilisi

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და ფლორენციის უნივერსიტეტის - Degli studi di Firenze - არქიტექტურის დეპარტამენტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, განხორციელდა საერთაშორისო პროექტი, რომლის შემაჯამებელი ანგარიში წარმოადგენს პრეზენტაციას სწავლებისა და კვლევის შესახებ, რომელიც ჩატარდა 2013 წელს სამეცნიერო - კულტურული ურთიერთთანამშრომლობის ფორმატში, ამ ორი უნივერსიტეტის ხელშეწყობით და მხარდაჭერით.

ერთობლივი ვორკშოპი ფოკუსირებულია ქალაქისა და კომუნიკაციათა გეგმის ანალიზზე და შესწავლაზე. ამ საერთაშორისო პროექტის სახელწოდებაა Augmented Reality Tbilisi – ARTbilisi, რომელიც მიმდინარეობდა 2013 წლის 2-30 მაისის ჩათვლით ქალაქ თბილისში. პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული იყო შეხვედრები ორგანიზაციებთან, არქიტექტურულ-ისტორიული ექსპედიციები ქალაქში; შერჩეული იქნა კონკრეტული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რომლებზედაც ჩატარდა კვლევა მულტიდისციპლინარული მიმართულებით.

პროექტი Augmented Reality Tbilisi – ARTbilisi - თბილისი სწავლება და კვლევა საერთაშორისო მულტიდისციპლინარული თანამშრომლობის ფორმაში

პროექტი Augmented Reality Tbilisi – ARTbilisi – გაყოფილი იყო სასწავლო და კვლევითი მიმართულებების მიხედვით, რომელიც მიმართული იქნა თანამედროვე ინსტრუმენტების დანერგვის, განხორციელებისა და სარგებლობისათვის რათა შესწავლილიყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა.

პროექტი Augmented Reality Tbilisi – ARTbilisi - ვითარდებოდა ეტაპობრივად სივრცის ათვისების გათვალისწინებით.

- კონცეპციის მომზადება: დისტანციური. ფლორენცია-თბილისი/ იანვარი-თებერვალი 2013;
- პროექტის საბოლოო დიზაინი: დისტანციური. ფლორენცია-თბილისი/მარტი-აპრილი 2013;
- 4 კვირის მანძილზე პროექტის პრეზენტაცია მონაწილე ინსტიტუციებისათვის, სამეცნიერო კონსულტაციები, კონცეფციის საბოლოო ჩამოყალიბებისათვის. თბილისი/მაისი 2013;
- 4 კვირის მანძილზე ქართველი და იტალიელი სტუდენტებისათვის სასწავლო და სამუშაო თანამშრომლობა. მაისი 2013;

ARTbilisi: ქალაქის ისტორიული ცენტრის ვრცელი რეალობის ჯვარედინ-მედია პროექტი თბილისი საუკუნეების მანძილზე იყო სხვადასხვა კულტურული და ისტორიული მოვლენების გზაჯვარედინი, რამაც თავისი წარუშლელი კვალი დატოვა ქალაქზე. აღმოსავლური და დასავლური კულტურების გადაკვეთამ ამ ქალაქში უფრო მდიდარი, მრავალფეროვანი, აღმოსავლურ – დასავლური სტილ-





























ის კულტურა ჩამოაყალიბა.

აქ ფორმირდებოდა მხატვრულ-შემოქმედებითი ველი, რომელიც გამოირჩევა ტოლერანტურობით და სოციალური ინკლუზიურობით, რაც ირეკლავს დასავლური საზოგადოების ამოცანებს მესამე მილენიუმის დასაწყისში.

ამჟამად ვიზიტორს (ტურისტს, სტუდენტს, პროფესიონალს), გარდა ტრადიციული სახელმძღვანელოებისა, არ გააჩნია დამხმარე ხელსაწყოები, რათა მიიღოს ინფორმაცია ამა ძეგლის შესახებ. თუმცა, ტრადიციული მეთოდიც სრულად ვერ ასახავს იმ კულტურულ, არქეოლოგიურ და არქიტექტურულ მემკვიდრეობას, რასაც თავად კონკრეტული ძეგლი იმსახურებს. ქართულ – იტალიურმა კვლევითმა ჯგუფმა შეიმუშავა მულტიდისციპლინარული პროექტი ARTbilisi. ეს პროექტი, არქიტექტურის და მედიახელოვნების ფაკულტეტის დახმარებით, შესაძლებელს ხდის ვესტუმროთ ქალაქის ისტორიულ ცენტრს და უფრო ღრმად და ინოვაციურად შევიცნოთ იგი. პროექტი ARTbilisi შედგება, ძირითადად იმ პროგრამის, აპლიკაციის მომზადებისათვის, რომლებიც გამოიყენება ტურისტებისათვის საინტერესო ადგილებში. (ძველი თბილისი, აბანოთუბანი, ეროვნული მუზეუმი).

ვორქშოფის შედეგად შეიქმნა ახალი მედია პროდუქტი - მეტად აქტუალური თანამედროვე ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენისათვის; კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის (ტურისტი-არქიტექტორები, ფოტოგრაფები, ხელოვნებათმცოდნეები და სხვა). მოხდება შერჩეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, საგნების ციფრული ვერსიის შექმნა. თანამედროვე მოწყობილობების - პლანშეტური კომპიუტერის, ანდროიდის ტელეფონის, აიფონის გამოყენებით მივიღებთ სიღრმისეულ ინფორმაციას კონკრეტული ძეგლის ან ნივთის შესახებ.

ძველი თბილისის ანალიზი და კვლევა. ახლიდან აღმოჩინე შენი დედაქალაქი.






















# Augmented Reality Tbilisi – ARTbilisi

**Institutions involved**

- Ministry of Culture and Monuments Protection of Georgia
- National Agency for CH preservation of Georgia
- Tbilisis Hamkary
- Georgian National Museum
- Italian Embassy in Georgia
- Georgian Embassy in Italy
- Architectural Club

**Thanks to**

- Tinatin Kldiashvili Rector of TSAA
- Kakha Trapaidze Chancellor of TSAA
- Marina Kvariani, Tamar Lortkipanidze representing Ministry of Culture and Monuments Protection
- Vano Vashakmadze Vice director, National Agency for CH preservation of Georgia
- Teona Jakeli PR manager, Georgian National Museum
- Mikhail Abramishvili representing Georgian National Museum
- Federica Favi Ambassador, Italian Embassy in Georgia
- Eugenio Carlucci, Nicoletta Daga representing Italian Embassy in Georgia
- Vato Andguladze representing Georgian Embassy in Italy
- Nino Laghidze president of Architectural Club

The report is a summary presentation of the activity of teaching and research carried out in 2013 within the framework of the cultural and scientific cooperation between the Universita 'degli Studi di Firenze-the Department of Architecture and the Tbilisi State Academy of Arts.The joint workshops focused on the study -relevant to the analysis of the city and the design of the communication plan- as well as the Project Augmented Reality Tbilisi-ARTbilisi, were the main points of the activity carried out during the period May 2 to 30, 2013. It was the part of a more general program also inclutding meetings with the institutions involved and visits to significant sights of architectural, historical, cultural interest in the city and the country.

**The project Augmented Reality Tbilisi - ARTbilisi**

Teaching and research in international multidisciplinary collaboration The project Augmented Reality Tbilisi-ARTbilisi is divided into teaching and research activities aimed at the design and implementation of the advanced tools for understanding of Georgian cultural heritage.

The project ARTbilisi develops in stages and areas including:

- the preparation of the concept: remote, Florence-Tbilisi / January-February 2013;
- the final design with preparation of the content summaries: remote, Florence-Tbilisi / March-April 2013;
- presentation of the project to the institutions involved and scientific consultation for the closing of the final contents during 4 weeks: in Tbilisi / May 2013;
- 4 weeks intensive of study and work for Italian and Georgians students: in Tbilisi / May 2013.

**ARTbilisi: the cross-media project Augmented Reality in the historic center of the city**

For centuries Tbilisi has been at the cross road of the various cultural and historical event, that settled their tracks along the city. It was the meeting point of the Eastern and Western cultures, making Tbilisi an exceptionally rich and viable example of the cultures co – existence and mutual growth.

Tbilisi has housed a culture and artistic production, eclectic, tolerant and socially inclusive, that could always represent a model for the challenges that the Western society faces at the beginning of the III millennium. Currently, however, the visitor (tourist, student, professional) has no supporting tools available rather














than traditional guides. It is much less than the similar cultural, archeological and architectural heritage deserves. Consequently, the mixed Italian-Georgian research group (University of Florence-department of architecture, Tbilisi State Academy of Arts) has developed the multidisciplinary project ARTbilisi between the faculties of Architecture and Media Art, that makes it possible to discover the city's historical center more in-depth and an innovative manner through applying the AR (Augmented Reality) app.

The ARTbilisi project consists of preparation of AR apps, including the sites of the tourists interest in the Old Tbilisi ancient district – Abanotubani, as well as, its implementation and publication jointly with the Georgian National Museum.

For this purpose, the ARTbilisi introduces the use of the AR for diverse and more advanced matters, for becoming aware and enjoying the architectural and archeological heritage of the Georgian capital city.

**Workshop Participants**

- Students participants in the workshop
- TSAA
- Alexandra Badalyan, Lia Garibashvili, Maria Voskanyan,Mariam Rusishvili, Mariam Tsiklauri,
- Mariam Khardziani, Marta Ghudushauri, Murman Iashvili, Qetevan Gegeshidze,
- Rati Zhvania, Sophio Machavariani,Tamar Meliva, Tinatin Tavadze, Tsitsi Bodokia

**UNIFI**

- Lorenzo Cantini, Jenny La Greca, Matteo Fiorucci

**Staff participants in the workshop**

- TSAA
- Nana Iashvili - Full professor, Dean of the Media Art Faculty
- Nino Chogoshvili - Professor, Dean of the Faculty of Restoration, Art History and Theory
- Zaza Iashvili - Associate professor of the Media Art Faculty
- Maia Mania - Professor of the Faculty of Restoration, Art History and Theory
- Rusudan Eristavi - Associate professor of the Media Art Faculty

**UNIFI**

- Paola Puma - Professor, University of Florence Department of Architecture

**Credits**

- DiDA STAFF
- Paola Puma, ARTbilisi scientific project leader
- Marte 5, ARTbilisi sw development
- Lorenzo Cantini, Bibliographic search, documentation and design of Artbilisi boards
- Jenny La Greca, Bibliographic search, documentation and design of Artbilisi boards
- Matteo Fiorucci, Tbilisi Old City visual documentation and shooting for virtual tour design
- Pietro Massai, Consultant for virtual tour design

**Tbilisi State Academy of Arts**

- Nana Iashvili - ARTbilisi scientific project leader
- Maya Mania, Consultant Architect for project
- Zaza Iashvili, Consultant Architect for project
- Merab Dzneladze, Consultant Archaeologist

**Communication Plan**

- Poster by Tsitsi Bodokia



- Flyer by Lorenzo Cantini, Tsitsi Bodokia
- Handbook by Maria Voskanyan, Rati Zhvania
- Web site by Jenny La Greca and Alexandra Badalyan
- Rendering by Qetevan Gegeshidze, Lia Garibashvili
- Storytelling by MariamTsiklauri (text), Rati Zhvania (voice)
- Support staff by Mariam Khardziani, Mariam Rusishvili

**SURVEY PLAN**

Historical documentations by Tinatin Davadze, Sophio Machavariani, Tamar Meliva, Mariam Tsiklauri, Nino Svimonishvili.

Survey staff by Lorenzo Cantini, Jenny La Greca, Matteo Fiorucci, Tinatin Davadze, Sophio Machavariani, Tamar Meliva, Mariam Tsiklauri, Nino Svimonishvili.















# არტ გალერეაში ვეტრო ვარიო













2013 წლის 12 ივლისს, არტ გალერეა „ვეტრო ვარიო“ (თბილისი, მცხეთის ქუჩა 28) გახსნა ტრაბზონის (თურქეთი) Femin&Art-ის მე-6 საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე ქართველ მხატვარ ქალთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

მასალა მოამზადა ანა ლალიძემ

# Art Gallery Vetro vario

On July 12 2013,inTbilisi (28 Mtskheta street), Art Gallery "Vetro vario" launched exhibition of Georgian woman artists, participants of 6. International Festival organaized by Femin&Art-association Female artists in Trabzon, Turkey.



# This year Trabzon's Femin-Art 6th International Paintings Festival is hosting a total of 100 female artists from 26 different countries in the world

The Black Sea province of Trabzon is welcoming women from dozens of countries for a week of art as part of the sixth International Paintings Festival, which is organized by the Femin & Art Association.

"Our primary aim is to bring women together and increase their confidence, while also giving a message to Turkish society," said Femin & Art International Women Artists' Association President Sькran Ьst at an opening for the event.

The festival was ushered in with a horon dance, a traditional dance from Trabzonand the Black Sea region.

Female artists from Azerbaijan, Georgia, Japan, France, Russia and Lebanon, as well as 20 other countries, are all in Trabzon for the festival.







Speaking at the opening, Ьst said the festival's motto this year was "The colors of the world will not fade." All the artists coming to Trabzon will feel as if they are at home, she said.

"Art and artists are the most important things in terms of enlightening society. We will try to spread our voices to the world while staying away from violence as we aim to spread peace," said Ьst, adding that art could develop societies and contribute to civilization.

"When there is freedom and peace, societies can develop with their own dynamics," she said.

The festival will continue until July 10.

Femin-art is an association that encourages women to take their place in art. The association was created six years ago and features six branches in Turkey.



The group brings together female artists to participate in national and international art activities and works with international organizations in order to present female Turkish artists to the world. Different artistic disciplines are represented in the association such as literature, painting, caricature portrayals and photography.

Ьst said they established the organization in 2007 with five women, but the association now boasts more than 250 women.

The association presented women in 57 international and national events while also exhibiting works created by Turkish women and organizing panels and symposiums.

Femin & Art has also participated in a number of international art activities. Women's involvement in art ac-



tivities is important for future generations, said Ьst.

"When women are educated, the development of countries gets faster," she said, noting that the women who work in the association have the opportunity to change their views about the world. "We can say the same things for women who are interested in art."

While establishing the organization, Ьst and her friends thought the title needed to be meaningful in the international art scene. "That's why we chose a title using the words 'Femin and art.'"

Even though traditional art such as painting is more popular with members, the organization also pursues activities in music and theater. "We are trying to be active in every kind of art."



**Peace and art**

Earlier The Femin-Art Female Artists Association brought together 300 artists from Turkey and around the world to open joint exhibits in 15 Turkish provinces in an effort to highlight and contribute to world peace.

"We are living among wars currently and that's why we need to contribute to peace. We will gather artists via social media and Internet channels," Ьst, said, adding that those involved hoped to contribute to world peace through artistic means.

The festival is being supported by the Culture and Tourism Ministry, Trabzon Gov. Recep Кэzэlcэk and Trabzon Mayor Orhan Fevzi Gьmгькзьoplu.

TEXT BY ANA LAGIDZE








# პერსონალური გამოფენა

11.06.2013 "ზაია გალერეაში" გაიხსნა მანანა თავაძის პერსონალურ გამოფენა - ქსოვილი, აპლიკაცია.

გამოფენა გაგრძელდა 20.06.2013

მანანა თავაძის დიზაინი ფერთა და ფორმათა პარადოქსია, ცოცხალია, თავისუფალია პირობითობისაგან. იგი სავსეა შინაარსით, არაჩვეულებრივად ფუნქციურია და კომფორტულია მისი მფლობელისთვის.

ხელოვანის მაღალი ოსტატობა ყოველთვის ჯეროვნად იყო დაფასებული. დღეს იგი სხვაგვარად გაიაზრება, იძენს ახალ ფასეულობებს, გამოხატულებას და შესაბამისობას თანამედროვე გემოვნებასთან. და კიდევ, რაც არ უნდა მოუხელთებელი იყოს სასურველი სახის ან ცხოვრებისეული მოვლენის სილამაზე, იგი არ ქრება, ყოველთვის რჩება შემოქმედში და თუკი ნაკეთობა ხანგრძლივად გვემსახურება, ჩვენს წინაშე ხელოვნების ნიმუშია.

ნინო ლაღიძე







# Personal exhibition

On June 11 2013, "Baia Gallery" launched personal exhibition of works by Manana Tavadze - Textile, application. The exhibition lasted for 20 June.

Manana Tavadze's works contradict this rule by highlighting the value of spatial solution and entering into artistic dialogue with people. High quality of artistic performance always enjoyed respect; nowadays it is estimated at a different plane, gaining in value, expressivity and compatibility with modern taste. Just one more note for the conclusion – however elusive the beauty may be, it invariably continues to exist in the artist's mind – and if the artist manages to interpret it so as to preserve its value for a long time to come, then we deal with real art.

NINO LAGHIDZE








# გამოფენა გალარეა „არტ ავენიუში"

2013 წლის 24 მაისს გალერეაში ART AVENUE მხატვარ თაკო შაშიაშვილის და მისი ვაჟების ლუკა და სანდრო ჯაფარიძეების პერსონალური გამოფენა გაიხსნა. გამოფენის გახსნას ფართო აუდიტორია დაესწრო. ექსპოზიციაზე წარმოდგენილ სამი მხატვრის აბსოლუტურად განსხვავებულ ხედვას მეტად მშვიდი,თუმცა ლირიულად ამაღლებული განწყობა აერთიანებდა.

ლუკა და სანდრო ჯაფარიძეები დედასთან ერთად პირველად წარსდგნენ საზოგადოების წინაშე. თაკოს პერსონალურ თუ საერთო გამოფენების ჩამოთვლა, (საქართველოში, თუ საზღვარგარეთ), კი ძალიან შორს წაგვიყვანს. მისი თვითმყოფადი ხელწერა ნაცნობი, ახლობელი და ყოველთვის აღმაფრთოვანებელია. ნამუშევრების შესრულების ტექნიკა - მრავალფეროვანი. ნამუშევრები ქალის ფიგურა დომინირებს. კომპოზიციათა გამომხატველობა საკმაოდ ორიგინალურია და წერის თავისებული, ორნამენტალური მანერით გამოირჩევა.





გალერეაში ფერწერული ტილოების გარდა დიდ ყურადღებას იპყრობდა კედლის ნილბები და აქსესუარები. თითოეული მათგანი თავისი სინატიფით, ფერადოვნებით, არაორდინალურობით, განუმეორებელ ხიბლს ანიჭებდა შემოქმედებითი თავისუფლებით გაჯერებულ ატმოსფეროს.

გამოფენა გალერეა ART AVENUE-ში რამდენიმე დღე გაგრძელდა და მნახველთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ვულოცავთ შემოქმედებით ოჯახს ამ გამარჯვებას და კვლავ წარმატებებს ვუსურვებთ დიდ შემოქმედებით გზაზე.













# Tako shashiashvili Luka japaridze Sandro japaridze art works - at ART AVENUE Gallery

On May 242013, ART AVENUE Gallery launched an exhibition. The exposition featured works of artists - Tako Shashiashvili and his sons, Luka Japaridze and Sandro Japaridze. The works of artists included into this exhibition varied by genres and formed a creative synthesis. The exhibition perfomence deserved.













# სამედიცინო ცენტრი ციტო



არქიტექტორი
ლევან კოკაია

თბილისში, ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე ახალ შენობაში სამედიცინო ცენტრი „ციტო“ არის განთავსებული. მისი ინტერიერი არქიტექტორ ლევან კოკაიას პროექტით შესრულდა.

ცენტრის ინტერიერის თანამედროვე სივრცის გეგმარებითი გადაწყვეტის ლაკონიზმი, დეტალებისადმი უნატიფესი დამოკიდებულებით კომპენსირდება. მათი ვირტუალიზაცია დიზაინის სტილის განმსაზღვრელი ხდება. მოსაპირკეთებელი მასალის ფაქტურამ ერთიანი, ნათელი სივრცე შექმნა. მისაღები ჰოლის ვიზუალურად გაფართოების მიზნით გამოყენებულია დიდი სარკეები რუსტირებულ ჩარჩოებში გახეხილი მეტალის ფაქტურით. ამავე მიზანს ემსახურება სხვადასხვა დანიშნულების კედლის ნიშები ლოკალური განათებით. საერთოდ, აქ, ავტორის მიერ, გათვალისწინებულია განათების რამდენიმე სცენარი - გამოყენებულია დიოდური და დღის ნათების ნათურები. მოსაპირკეთებელი მასალებიდან გამოყენებულია - გამოწრთობილი მინა, პერფორირებული უჟანგავი ფოლადი, ალუმინი და მისი პროფილები და კერამოგრანიტის ფილები – იატაკზე.

თბილი, კლასიკური ფერები ამრეკლავ ზედაპირებს ჰარმონიულად ერწყმის. სხვადასხვა მონაკვეთების მობილური დიზაინი შემომსაზღვრელი სიბრტყეების ტონალობითაა გაწონასწორებული. ინტერიერი, თითქოს შიგნიდან ნათდება განსაკუთრებული, მისეული შუქით, რასაც გამჭვირვალე დეტალების, კრიალა აქსესუარების, დეკორატიული ნაკეთობების, ბუნებრივი და ხელოვნური განათების სინქრონი აღრმავებს.

მთლიანობაში, კი ავტორის ორიგინალური და საინტერესო მიგნებები ერთ ამოცანას ემსახურება - შეიქმნა საზოგადოებრივი გარემო - მშვიდი, ესთეტიკური ყოფისა და მაღალი კომფორტის გარანტი.








ავტორადიო
GEO FM 95.1
თბილისი
სიამოვნებით გასავლელი გზა

# STYLE

სარეკლამო კომპანია





ქ. თბილისი შარტავას ქ. 35/37

style_inbox@mail.ru

2 37 52 97

577 44 86 00